გაზეთი ბოლოს, „ვერსიას“ ერთი

ვერსია

60 თვეთრი №120 (1146) 25 - 26 ნოემბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ცესკო-ში სკანდალური დარღვევები აღმოაჩინა

„კი, მაგრამ ღმერთი აღარაა, ბნელია?!“

ვინ მფარველობს ღევან მურუსიძეს — სანდრო გირგვლიანის მკვლელებისა და სულხან მოღაშვილის საქმის მოსამართლეს

„ვერსიამ“ იმ მოსამართლეებისა და კომპანიების სია მოიპოვა, ვინც „ქართუსა“ და სხვა კერძო ბიზნესს ნაციონალების დაკვეთით საქართველოს სახელმწიფოს სახელით ავოცრებდა და ღღეს სააპელაციო სასამართლოში მოკალათებას აპირებს!

საჯარო ბიბლიოთეკის სკანდალის ახალი დეტალები

ყოფილი თანამშრომლები პარლამენტის თავმჯდომარეს ღია წერილს უგზავნიან და ბიბლიოთეკაში აუდიტის სამსახურის შესვლას ითხოვენ

ქვემო ქართლში პატრიოტთა ალიანსი ძლიერდება!

ემზარ კვიციანი ნორა კვიციანის, ბაჩო არღვლიანისა და ღევან მამალაძის ავტორიტეტით ხელისუფლებას საარჩევნო ხმების ბელელს წაართმევს!

საქართველოს ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი ეწვია

23-25 ნოემბერს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი ედგარს რინკევიჩსი ეწვია.

ლატვიელ კოლეგას ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა უმასპინძლა. 24 ნოემბერს საგარეო საქმეთა სამინისტროში, კოლეგებს შორის ოფიციალური შეხვედრა გაიმართა. მხარეებმა, ორმხრივ და ასევე, მრავალმხრივ ფორმატში თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი იყო ასევე, ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილთან.

ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრის ედგარს რინკევიჩსის განცხადებით, საქართველოს ისევე, როგორც მის პარტნიორებს, სურთ ვიზალიბერალიზაციის კუთხით შედეგი დაინახონ. როგორც ედგარს რინკევიჩსმა ქართველ კოლეგასთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, ლატვია ხედავს საქართველოს პროგრესს და იმედი აქვს, რომ დეკემბერში ევროკომისია პოზიტიურ დასკვნას დადებს: **„ჩვენ ველოდებით ევროკავშირის ანგარიშს ვიზის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, ჩვენ ვხედავთ საქართველოს პროგრესს. ჩემი ქვეყანა კი, არ დაიშურებს ძალისხმევას, დაეხმაროს საქართველოს ვიზალიბერალიზაციის განხორციელებაში. ვფიქრობთ, არ არის არავითარი მიზეზი, დაყოვნდეს პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღება ამ კუთხით, რადგან დავინახეთ, რაოდენ დიდი და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საქართველომ. ევროპამაც უნდა შეასრულოს თავისი დაპირება. მნიშვნელოვანია, გავაგრძელოთ რეფორმები. ყველას სურს, დაინახოს საქართველოში დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა ისევე, როგორც ძლიერი და დამოუკიდებელი მასმედია. იმედი მაქვს, ჩვენ მივაღწევთ გაცილებით ფართო მასშტაბის შეთანხმებებს. პირველი შედეგები უკვე სახეზეცაა. კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას“.**

„ხელს ნუ შეუწყობთ მუქარისშემცველი ვიდეომასალის ტირაჟირებას“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ნინო გიორგობიანი, ტერორისტების მიერ გავრცელებულ ვიდეოს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ სუს-ში აღნიშნულ საკითხზე მუშაობენ, ამ და სხვა მსგავსი შინაარსის ვიდეომასალებთან დაკავშირებით გამოძიება უკვე დაწყებულია.

ნინო გიორგობიანი მედიას მიმართავს, ნუ შეუწყობენ ხელს მუქარის შემცველი მასალის ტირაჟირებას: **„მედიასაშუალებების წარმომადგენლებს მოგიწოდებთ და მოგმართავთ თხოვნით, სახელმწიფო უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ხელს ნუ შეუწყობთ ინტერნეტ-სივრცეში გავრცელებული, მუქარისშემცველი ვიდეომასალის ტირაჟირებას. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურები აღნიშნულ საკითხზე მუშაობენ, ამ და სხვა მსგავსი შინაარსის ვიდეომასალებთან დაკავშირებით გამოძიება უკვე დაწყებულია“.**

„ისლამური სახელმწიფოს“ ქართულენოვან საინფორმაციო გვერდზე, „ისლამური სახელმწიფოს“ წევრებმა ქართულ ენაზე ახალი მიმართვა გაავრცელეს.

საჯარო სკოლებში ზამთრის არდადეგები 30 დეკემბერს დაიწყება

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, ზამთრის არდადეგები სკოლებში 30 დეკემბრიდან დაიწყება და 14 იანვრამდე გაგრძელდება.

უწყების ცნობით, ყველა საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი 15 იანვარს განახლდება.

რაც შეეხება, კერძო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს, განათლების სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული სასწავლო დაწესებულებები არდადეგების დაწყებისა და დასრულების თარიღებს თავად განსაზღვრავენ.

„პია“

„ლიბერთი ბანკმა“ პედაგოგები დაჯილდოვა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით და „ლიბერთი ბანკის“ მხარდაჭერით, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების კონფერენცია გაიმართა.

აღნიშნული ღონისძიება ყოველწლიურად ტარდება და მისი მიზანია სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება.

კონფერენციის ფარგლებში „ლიბერთი ბანკის“ დირექტორმა არმენ მატევოსიანმა Gift card-ით დაასაჩუქრა კონკურსში გამარჯვებული პედაგოგები, რომლებმაც საგანმანათლებლო სფეროში ინოვაციების შესახებ საუკეთესო ნაშრომები წარმოადგინეს.

„ლიბერთი ბანკთან“ ერთად წლევანდელი კონფერენციის პარტნიორები „ინტელი“, „მაიკროსოფტი“, „ესაბი“ გახლდათ და 250-მა პედაგოგმა, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტმა და ექსპერტმა მიიღო მონაწილეობა.

პრემიერმა ხელოვანები და მეცნიერები შოთა რუსთაველის სახელობის პრემიით დაჯილდოვა

ხელოვნებასა და მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, რუსთაველისა და ეროვნული პრემიების ლაურეატები, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დააჯილდოვა. მთავრობის მეთაურმა მათ მთავრობისა და ხალხის სახელით მადლობა გადაუხადა იმ დიდი ღვაწლისა და თავდადებისთვის, რომელსაც ისინი თავიანთ საქმიანობაში იჩენენ: **„მინდა, ჩვენი მთავრობის სახელით, გამოვხატო მადლიერება იმისთვის, რასაც ჩვენი ქვეყნისა და ხალხისთვის აკეთებთ. ყველას უდიდესი ღვაწლი მიგიძღვით შემოქმედებითი თუ სამეცნიერო მიმართულებით“.**

საქართველოს ეროვნული პრემიები ხელოვნების დარგში მიენიჭათ მწერალ ივანე ჩხიკვაძეს, ბოლო წლებში შექმნილი საუკეთესო პროზაული და პოეტური ნაწარმოებებისა და თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. მუსიკათმცოდნე ნანა ქავთარაძეს — სამუსიკათმცოდნეო წერილების კრებულისთვის „ო, უძლეველო დიდო წამო შემოქმედების“. მხატვარ ჯემალ კუხალაშვილს — ბოლო წლებში შექმნილი მაღალმხატვრული ფერწერული ნამუშევრებისა და თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. რეჟისორ ლევან წულაძეს — თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში დადგმული სპექტაკლისთვის „როგორც გენებოთ“.

მეცნიერების დარგში კი, საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატები გახდნენ: ფილოლოგი ენრიკო გაბიძაშვილი — ფილოლოგიურ-ბიბლიოგრაფიული ნაშრომისთვის „ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები“. ფიზიკოსები — ვახტანგ გოგოხია და ავთანდილ შურღაია — სამეცნიერო ნაშრომთა ციკლისთვის „ველის კვანტური თეორიის ძირითადი მდგომარეობის ტოპოლოგიური და დინამიკური სტრუქტურა“. ექიმი-რადიოლოგი ქეთევან ლაშხი, ექიმი-რადიოლოგი ქეთინო ტორონჯაძე, ექიმი-ენდოსკოპისტი მამუკა გურგენიძე და ექიმი-ენდოსკოპისტი თეიმურაზ იოსელიანი — სამეცნიერო ნაშრომთა ციკლისთვის „ჰეპატო-პანკრეატოდუოდენური ზონის დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობის სტრატეგია თანამედროვე სამეცნიერო ტექნოლოგიების განვითარების პირობებში“. ექიმი-პედიატრი ივანე ჩხაიძე, ექიმი-პულმონოლოგი თამაზ მაღლაკელიძე, ბავშვთა ქირურგი პაატა გვეტაძე, ექიმი-პულმონოლოგი თამაზ ლობჟანიძე — სამეცნიერო ნაშრომთა ციკლისთვის — „რესპირაციული მედიცინა 21-ე საუკუნის დასაწყისში“.

„პია“

რუსული სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ, თურქეთმა ნატო-სთან კონსულტაციები დაიწყო

რუსეთის კუთვნილი სამხედრო თვითმფრინავი Cy-24, საჰაერო სივრცის დარღვევის გამო, F-16 ტიპის თურქეთის ავიაგამანადგურებლებმა სირიის ტერიტორიაზე, თურქეთის საზღვართან ახლოს ჩამოაგდეს.

ტელეკომპანია CNN Turk-ის ცნობით, პილოტებმა კატაპულტირება მოასწრეს. თუმცა, ერთი პილოტი, დაიღუპა.

იერიშის დროს, თვითმფრინავს ჰაერში ცეცხლი გაუჩნდა და სირიის ტერიტორიაზე, ბაირბუკჟაკის რაიონში ჩამოვარდა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რუსული თვითმფრინავი უშუალოდ სირიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა და მას თურქეთის საჰაერო სივრცე არ დაურღვევია.

რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ, თურქეთმა ნატო-სთან კონსულტაციები დაიწყო. თურქეთის პრემიერმა აჰმედ დავითოღლუმ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრ ფერდინანდ სინირლიოგლუს რუსული სუ-24 ჩამოგდებაზე ნატო-ს, გაერო-სა და ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების გამართვა დაავალა. თურქეთის პრემიერის დავალებით, ქვეყნის პირველმა დიპლომატმა ნატო-ს, გაერო-ს და ყველა სხვა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციები სირიის საზღვართან არსებული სიტუაციის შესახებ უნდა გამართოს.

„პია“

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

„კი, მაგრამ ღმერთი აღარაა, ბნელა?!“

ვინ მფარველობს ლევან მურუსიძეს — სანდრო გირგვლიანის მკვლელებისა და სულხან მოლაშვილის საქმის მოსამართლეს

„ვერსიამ“ იმ მოსამართლეებისა და კომპანიების სია მოიპოვა, ვინც „ქართუსა“ და სხვა კერძო ბიზნესს ნაციონალების დაკვეთით საქართველოს სახელმწიფოს სახელით აკოცრებდა და ღღეს სააპელაციო სასამართლოში მოკალათებას აპირებს!

მოქალაქეების უდიდეს ნაწილს აქვს განცდა, რომ ხელისუფლების დაპირება სამართლიანობის აღდგენის თაობაზე, დაპირებად დარჩა. ამის მიზეზად ხშირად პროკურატურის არაფექტურ მუშაობას ასახელებენ, თუმცა, ექსპერტების მოსაზრებით, საკითხი კომპლექსურად უნდა განვიხილოთ და ვაღიაროთ, რომ თითქმის ყველა მიმართულებით საჭიროა სისტემური ცვლილებები. ამ მხრივ, გამონაკლისი არც სასამართლოა, სადაც, როგორც ამბობენ, ნაციონალების დროს დაწყებული ქაოსი, დღემდე გრძელდება. ამ ქაოსს სასათბურე პირობებს ის უქმნის, რომ სასამართლოებში, სააკაშვილისდროინდელი კადრები დღესაც ბოგინობენ და როგორ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, სწორედ ამ კადრებით უნდა მოხდეს ვაკანტური ადგილების შევსება სხვადასხვა ინსტანციაში, მათ შორის, სააპელაციო სასამართლოშიც.
სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეობაზე პრეტენზიას, უკვე არაერთი აცხადებს. მათ შორის კი ისეთიც უხვადაა, რომელთა სახელებსაც უკავშირდება სხვადასხვა გახმაურებულ საქმეზე მიღებული არაადეკვატური გადაწყვეტილებები. მათ შორის არიან ისეთებიც, ვინც თავის დროზე, „ქართუს“ გაკოტრების სქემაშიც კი ფიგურირებდა, თუმცა ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

„სასამართლო კარუსელის“ დატრიალების ერთ-ერთ მიზეზად სახელდება სააპელაციოში გადატვირთულობა. ამბობენ, რომ საქმეთა სიმრავლის გამო, აუცილებელია, ეს ინსტანცია შეივსოს საქალაქო სასამართლოდან გადაყვანილი კადრებით. არადა, როგორც ცნობილი გახდა, სააპელაციოში მოსამართლეობას ისეთი ფიგურებიც უმიზნებენ, რომლებსაც კანონი არა, მაგრამ წესით, სინდისი უნდა უკრძალავდეს ამგვარი პრეტენზიის გამოთქმასაც კი... მაგალითად, ლევან მურუსიძე წლების განმავლობაში პროკურატურაში რომ მუშაობდა და შემდეგ კოტე კუბლაშვილის მარჯვენა ხელი იყო, დღეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეა. ეს საბჭო ორი წელია მუშაობს სასამართლოში მოსამართლეთა ოპტიმალური რაოდენობის დადგენის საკითხზე, თუმცა, აღნიშნულზე არანაირი კვლევა ან გადაწყვეტილება არ დადებულა. არც ისე დიდი ხნის წინ, ამ საბჭოს წევრთა უმრავლესობამ, საერთო სასამართლოებში არსებულ 68 ვაკანტურ ადგილზე მოსამართლეების კონკურსით დანიშვნის შესახებ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ნინო გვენეტაძის ინიციატივა არ გაიზიარა და თბილისის სააპელაციო სასამართლოში 7 მოსამართლის უკონკურსო დანიშვნას დაუჭირა მხარი. მანამდე, ერთი კვირით ადრე კი, დაახლოებით 30 მოსამართლეს (მათ შორის, სააპელაციო სასამართლოს 8 მოსამართლეს) უფლებამოსილების ვადა არ გაუგრძელა.

„ვერსია“ დაინტერესდა და მოიკვლია, როგორია ლევან მურუსიძის სამართალი?! აღმოჩნდა რომ საზოგადოებას ის არათუ კარგად სცოდნია, გაუპროტესტებია კიდეც... 2005 წელს სწორედ მურუსიძე მონაწილეობდა უზენაესი სასამართლოს ოთხი მოსამართლის წინააღმდეგ დაწყებული დისციპლინური წარმოებისა და უკანონოდ გათავისუფლების პროცესში. მისი სახელი ფიგურურებს ასევე სულხან მოლაშვილისა და სანდრო გირგვლიანის გახმაურებულ საქმეებშიც. 2006 წლის 23 ივნისს, მურუსიძის მიერ გამოტანილი განაჩენით, კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს — სულხან მოლაშვილს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

როდესაც უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობდა, მოლაშვილის წამების ამბავი საზოგადოებისთვის უკვე ცნობილი იყო, გამოქვეყნებული იყო სიგარეტის ნამწვავებით ნაწამები მსჯავრდებულ მოლაშვილის ფოტოები, გავრცელებული იყო მათიას იორშის განცხადება, რომ ეს იყო ყველაზე ვანდალური მოპყრობის ფაქტები მის პრაქტიკაში, წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო სამდივნოს დირექტორს, ერიკ სოტასს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ღია წერილი მოლაშვილის დაუყოვნებლივი გათავისუფლების მოთხოვნით.

ამ ყველაფერს, მურუსიძეზე, გადაწყვეტილების გამოტანისას, გავლენა არ მოუხდენია. მეტიც, წლების მერეც, მან ჟურნალისტებთან დაადასტურა, რომ მოლაშვილის განაჩენი სამართლიანი იყო.
მურუსიძისთვის, ალბათ, გირგვლიანის საქმეზე გამოტანილი განაჩენიც სამართლიანი იყო — სწორედ მისი მონაწილეობით, უზენაესმა სასამართლომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდებულებს სასჯელი შეუმცირა.

2007 წლის 27 ივლისს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, ი. ტყეშელაშვილის, ზაზა მეიშვილისა და ლევან მურუსიძის შემადგენლობით, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების — გერონტი ალანიას, ავთანდილ აფციაურის, ალექსანდრე ღაჭავასა და მიხეილ ბიბილურიძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დავით ხაჟალიას, დაზარალებულ ლევან ბუხაიძისა და დაზარალებულის უფლებამონაცვლე ირინა ენუქიძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 11 დეკემბრის განაჩენზე. განჩინებაში, რომელიც საბოლოო იყო და არ გასაჩივრდებოდა და რომელსაც მურუსიძის ხელმოწერაც აქვს, ვკითხულობთ: **„დაზარალებულ ლევან ბუხაიძისა და დაზარალებულის უფლებამონაცვლე ირინა ენუქიძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 11 დეკემბრის განაჩენიდან ამოირიცხოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდში გერონტი ალანიას, ავთანდილ აფციაურის, მიხეილ ბიბილურიძისა და ალექსანდრე ღაჭავას მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა“.** ამ გადაწყვეტილებით, საკასაციო სასამართლომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდებულებს სასჯელი შეუმცირა. მურუსიძის მიერ გამოტანილი განაჩენის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს არ უნდა შეეცვალა და უნდა გაეზიარებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ დაზარალებულ ლევან ბუხაიძის ყველა ჩვენება არასარწმუნოა და მისი არც ერთი ჩვენება არ უნდა გაეზიარებინა.

„საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ალანიამ, აფციაურმა და ღაჭავამ სანდრო გირგვლიანი და ლევან ბუხაიძე ავტომანქანაში ჩასვეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და მუქარით. მით უფრო, ამაში მონაწილეობა არ მიუღია მიხეილ ბიბილურიძეს, რომელიც ოქროყანაში მოგვიანებით მივიდა. ამიტომ მსჯავრდებულებს არ ჩაუდენიათ სსკ-ს 143-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება“, — მურუსიძის მიერ ხელმოწერილი განჩინების ეს პასაჟი, თავის დროზე ერთ-ერთი იყო, რის გამოც, მოსამართლეები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში დაადანაშაულეს. მურუსიძე კი, სააკაშვილის ტერორისტული მანქანის ერთ-ერთ დამხმარე ძალად შერაცხეს და მკვლელებისთვის სასჯელის შემცირებაზე დადგენილების მიღებაც, ამით „გამართლდა“.

მოგვიანებით, სწორედ ამ განჩინებაზე ჰქონდა მწვავე რეაქცია სტრასბურგის სასამართლოს, რომლის შეფასებით, სანდრო გირგვლიანის საქმეში არა მარტო აღმასრულებელი, არამედ სასამართლო ხელისუფლებაც ჩართული იყო: **„სასამართლო აცხადებს, რომ გამოძიების ეტაპები წინასწარი შეგონებით წარიმართა. თბილისის საქალაქო პროკურატურის მიერ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარღვევა ამ ორგანოს მიერ განმცხადებლებისათვის მნიშვნელოვან საგამოძიებო ზომებში მონაწილეობის უფლებაზე უარის თქმა იყო... სამწუხაროა, რომ მიუხედავად განმცხადებლის განმეორებითი მოთხოვნებისა პროკურატურამ გამოძიების მიზნით არ გამოავლინა და არ დაკითხა ის ადამიანები, რომლებსაც, როგორც ოთხი ბრალდებული, ასევე შს მინისტრის მეუღლის მეგობრების ჯგუფი უკავშირდებოდა მოცემულ ღამეს... სასამართლო ასევე შეძრულია პროკურატურის მიერ იმ გარემოებების დაუდგენლობით, რომლის დროსაც სანდრო გირგვლიანმა სხეულის სხვადასხვა ნაწილზე აურაცხელი ჭრილობა მიიღო, განსაკუთრებით კი ყელზე... პროკურატურამ და სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა ვერ მოახერხეს ოთხი ბრალდებულის ცალ-ცალკე საკნებში განთავსება, რაც ამ მოვლენების მიმდინარეობის დროს მოქმედი პატიმრობის შესახებ კანონის 86-ე მუხლის მეორე ნაწილით პირდაპირ იყო მოთხოვნილი... ჭრილობებზე უფრო ყურადღებით დაკვირვების შემდეგ, სასამართლო ასკვნის, რომ სანდრო გირგვლიანი განსაკუთრებით სასტიკი და სიცოცხლისათვის საშიში არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდა. მეტიც, იქ, სადაც თავდამსხმელებმა მსხვერპლს მჭრელი იარაღით ურტყეს სხეულის ისეთ საფრთხილო ადგილას, როგორიც ყელია, გონივრულია ვივარაუდოთ, რომ თავდამსხმელები ნამდვილად აპირებდნენ სანდრო გირგვლიანის სიცოცხლის მოსპობას... კიდევ ერთი ელემენტი, რომელიც სიცოცხლისათვის საშიში განზრახვით ჩადენილ თავდასხმაზე მიუთითებს, ერთი თავდამსხმელის მიერ იარაღის გასროლაა. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, სასამართლო სინანულს გამოხატავს, რომ დანაშაულის კლასიფიკაციისა და 7-8 წლით**

თავისუფლების აღკვეთის მისჯის დროს, რომლის შესაბამისობა ნამდვილად საეჭვოა, ადგილობრივმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს, გაეთვალისწინებინათ ის აშკარად დამამძიმებელი გარემოებები, როგორიცაა სახელმწიფო აგენტების მიერ მსხვერპლის განზრახ დამცირება და განსაკუთრებულად სასტიკი მოპყრობა.
აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო ასკვნის, რომ ადგილობრივი სასამართლოების მიერ მსჯავრდებულებისათვის თავდაპირველად დაკისრებული სასჯელი და მისი შემდგომი აღსრულება ადგილობრივი ორგანოების მიერ არ წარმოადგენდა ადეკვატურ სასჯელს ჩადენილი დანაშაულისათვის.

ამ უსაფუძვლო შემწყნარებლობის გამო ოთხი ჩინოსნის სისხლის სამართლებრივი დევნა კონვენციის მე-2 მუხლის ფარგლებში რაიმე შემამსუბუქებელი ეფექტის გამოყენების საშუალებას აღარ ტოვებს. სასამართლო გაოცებულია სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა განშტოებების – შსს-ს გამოძიების თავდაპირველი წარუმატებლობიდან გამომდინარე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ მსჯავრდებულების იგივე საკანში არაკანონიერად განთავსებით, ადგილობრივი სასამართლოების მიერ პროცესების არასწორად წარმართვითა და მსჯავრდებულების ადრე გამოშვებით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებულების მიმართ გაუმართლებელი სირბილის გამოჩენით – შეთანხმებულად მოქმედებით, რაც ამ მკვლელობის საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების ხელის შეშლისაკენაა მიმართული“.

სტრასბურგის სასამართლოს ამ შეფასებით, ნათელია, რომ კონკრეტულ გახმაურებულ საქმეებზე, რომლის გამოძიებისა და შესაბამისად, სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნა საზოგადოებას ჰქონდა, მხოლოდ პროკურატურა კი არა, სასამართლოცაა პასუხისმგებელი. პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ მოსამართლეებსაც, რომლებსაც პოლიტიკურ გარიგებებში ამხელდნენ და რომლებზედაც დღესაც საუბრობენ, რომ კოლეგებზე ძალაუფლება აქვთ. ამ ბრალდებებს, ლევან მურუსიძესაც უყენებენ და დასტურად, გახმაურებულ საქმეებთან ერთად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომრის თანამდებობაზე მის არჩევასაც იხსენებენ, როცა ყველა კანდიდატმა, მის სასარგებლოდ, საეჭვოდ მოხსნა კანდიდატურა. თუმცა, მურუსიძის გვარი სხვა საქმეშიც ფიგურირებს — როგორც უკვე მოგახსენეთ, სხვა არაერთი მოსამართლის მსგავსად, რომლებიც დღეს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეობაზე პრეტენზიას გამოთქვამენ, ბატონი ლევანიც ბიზნესის გამკოტრებელთა სიაშია.

დასასრული მე-4 გვერდზე

ქვემო ქართლში პატრიოტთა ალიანსი ძლიერდება!

არჩილ ჩაჩავა

სანამ „ქართული ოცნება“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ერთმანეთის კრიტიკითა და ერთმანეთთან ბრძოლით იყვნენ დაკავებული, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ მოძლიერდა და საკუთარი ძალა ჯერ საგარეჯოში გამართულ არჩევნებზე ანახა, შემდეგ კი იმ აქციაზე, სადაც სწორედ საგარეჯოს შედეგები გააპროტესტეს. რეალურად, ხალხის ის რაოდენობა, რომელიც პარტიამ შეკრიბა, ნებისმიერი სხვა ძალისთვისაც სანატრელი იქნებოდა. რაც მთავარია, პატრიოტთა ალიანსის ლიდერები საკუთარ ძალებში დარწმუნებულნი არიან და... საპარლამენტო არჩევნებისთვის ძალიან სერიოზულად ემზადებიან. მათ გვერდით ბევრი ცნობადი თუ უცნობი სახეა და ისიც აღსანიშნავია, რომ ცნობადი სახეების რესურსს ინაშვილის პარტია მაქსიმალურად იყენებს. ეს კიდევ ერთხელ მაშინ დადასტურდა, როცა გაირკვა, რომ პარტიის ერთ-ერთ გამორჩეულ სახეს, ემზარ კვიციანს ქვემო ქართლი ჩააბარეს. ალბათ ბევრი იკითხავს (და იკითხა კიდეც), სად კოდორის ხეობის ყოფილი გუბერნატორი და სად ქვემო ქართლიო, მაგრამ ნურას უკაცრავად! — ქვემო ქართლის ჩაბარება სწორედ კვიციანისთვის იყო ყველაზე უპრიანი და ახლავე აგიხსნით, რატომ.

ემზარ კვიციანი ნორა კვიციანის, ბაჩო არღვლიანისა და ლევან მამალაძის ავტორიტეტით ხელისუფლებას საარჩევნო ხმების ბელელს წაართმევს!

პირველ რიგში იმიტომ, რომ ქვემო ქართლში კომპაქტურად არიან ჩასახლებული სვანები. გარდაბანი, მარნეული, დმანისი, ბოლნისი, წალკა, თეთრიწყარო... სვანებისთვის კი კვიციანი გმირია. გმირი, რომელიც კოდორის ხეობას კბილებით იცავდა და მას შემდეგ, რაც იქიდან წასვლა აიძულეს, ხეობა ჩაბარდა. იგივეს ფიქრობენ დევნილებიც, რომლებმაც კოდორი დატოვეს და რომლებიც ასევე ქვემო ქართლში მრავლად არიან. გასათვალისწინებელია ქალების ფაქტორიც. პოლიტიკურად აქტიური ქალებისთვის ემზარ კვიციანის და, ნორა კვიციანი გმირია და მის სიტყვას ბევრი დაუჯერებს. არჩევნების დროს არანაკლები გავლენა აქვთ კრიმინალებს. მართალია, შავი სამყაროს წარმომადგენლები პოლიტიკაში ღიად არ ერევიან, მაგრამ კულუარებში სერიოზულად მუშაობენ. კვიციანის დის შვილი, ქალბატონი ნორას შვილი, ბაჩო არღვლიანი კრიმინალებისთვის მისაღები პირია. მან არაერთ კრიმინალს მისცა თავშესაფარი კოდორში და შესაბამისად, ვალში ძალიან ბევრი ადამიანი ჰყავს.

და მთავარი — ლევან მამალაძე ემზარ კვიციანის უახლოესი მეგობარია. მათ ნათელმირონობაც აკავშირებთ და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ადამიანი სიცოცხლეს ანდობს ერთმანეთს. მამალაძე ქვემო ქართლის გუბერნატორი იყო, მისი მეტსახელი, ლევან-ფაშა, აზერბაიჯანელებს დღემდე ახსოვთ და არაერთმა აზერბაიჯანელმა მამალაძის დროს სერიოზული ფული იშოვა. ისინი დღემდე მიიჩნევენ, რომ მისი ვალი აქვთ. შესაბამისად, კვიციანს მათთან მისვლა და ლევანის სახელით საუბარი, გაუიოლდება. დახმარებაზე არც ისინი ეტყვიან უარს.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ქვემო ქართლი პრაქტიკულად მთლიანად სასაზღვრო ზონაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოფილ მესაზღვრეებსა თუ მებაჟეებზე აქტიურად იმოქმედებს დავით თარხან-მოურავის ფაქტორი. მას ამ მიმართულებით მუშაობა უკვე აქტიურად აქვს დაწყებული და არც თუ ურიგო კავშირები ააწყო. ასევე, ქვემო ქართლში პოპულარულია სპორტის ისეთი სახეობა, როგორიც ჭიდაობაა. პრაქტიკულად, ყველა სოფელში არის საჭიდაო დარბაზები, სადაც უამრავი ბავშვი ვარჯიშობს და ეს ბავშვები ყოველდღიურად ხედავენ კედელზე გაკრული ლეგენდარული მოჭიდავეების სურათებს. სურათებში ფალავანი, ლევან თედიაშვილიც არის. ჰოდა, თედიაშვილის ფაქტორი მოქმედ თუ ვეტერან სპორტსმენებზე სამართებელივით გაჭრის და ეს ყველაზე კარგად სწორედ ალიანსის წევრებმა იციან.

სხვათა შორის, სვანები უკვე არ მალავენ, რომ კვიციანს ბოლომდე გაჰყვებიან, იმიტომ, რომ მან ღალატი და ტყუილი არ იცის, რაც დაამტკიცა კიდეც. უმთავრესი ის არის, რომ სვანური ტრადიციების თანახმად, ემზარ კვიციანი, უხუცესების, ანუ მახვშების აზრს ითვალისწინებს, ჭკუას ეკითხება, პატივს სცემს, რასაც სვანებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

გაგიკვირდებათ და, ქვემო ქართლში ალიანსის გააქტიურებამ ნაციონალური მოძრაობის წევრები უფრო შეაწუხა, ვიდრე „ქართული ოცნების“ ლიდერები. ნაციონალებისთვის ქვემო ქართლი ხმების ბელელი იყო, აზერბაიჯანულ მოსახლეობაზე სამართებელივით ჭრიდა წინასაარჩევნოდ გაკრული სააკაშვილისა და ალიევის ერთობლივი სურათი და ამის გაკეთებას ისინი მომავალ არჩევნებზეც აპირებენ, მაგრამ თავადაც იციან, რომ მამალაძის ფაქტორის ამოძირკვა ყველაზე მეტად გაუჭირდათ. დღეს, როცა მოსახლეობაში შიში აღარ არის, როცა მათ კარგად იციან, რომ ხმამაღლა დაფიქსირებული პოზიციისთვის არავინ დასჯის, ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ აფიქსირებენ საკუთარ არჩევანს და ილუზია, რომ აზერბაიჯანელების ხმები აუცილებლად მმართველ გუნდს ერგება, ქრება.

და ერთიც — დააკვირდით სოციალურ ქსელებში პატრიოტთა ალიანსის ლიდერთა ფოტოებს. ისინი მუდმივად რეგიონებში არიან, მუდმივად სოფლებში დადიან და მოსახლეობასთან ერთად ყველზე და პურზე ქეიფობენ. ასეთი უბრალოება კი რიგით ადამიანებს ძალიან მოსწონთ. და იქნებ ვინმემ გამახსენოს, მოქმედი ხელისუფლების ლიდერთაგან, სოფლებში ყველზე და პურზე რომელმა იქეიფა ბოლოს?!

დავით ბორჩაშვილს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

ტერორისტული ორგანიზაციის წევრობისთვის დაკავებულ დავით ბორჩაშვილს, აღკვეთის ღონისძიების სახით, წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. თავად დავით ბორჩაშვილს სასამართლოზე დასწრება არ სურდა, რის გამოც, პროცესი თავდაპირველად სასამართლოში ჩაინიშნა, თუმცა, მოგვიანებით მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე ღუდუშაურის კლინიკაში უნდა ემსჯელათ.

29 წლის დავით ბორჩაშვილი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტიული ცენტრის თანამშრომლებმა დააკავეს. მას ბრალად სისხლის სამართლის კოდექსის 328-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ედება, რაც გულისხმობს უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებას ან ტერორისტულ საქმიანობაში მის დახმარებას. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში დავით ბორჩაშვილს 10-დან 18 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მასწავლებლებისთვის სქემის გზამკვლევი ითარგმნა

გზამკვლევი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, ახალი სქემის დანერგვის პროცესში მასწავლებლებისა და სკოლების ადმინისტრაციების ხელშეწყობის მიზნით თარგმნა. მასში დეტალურადაა ასახული სქემის განხორციელების ყველა ეტაპი და ჩართული პირების საქმიანობის განხორციელების გზები. „ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, გზამკვლევის გარდა, ითარგმნა მასწავლებლებისთვის თვითშეფასების კითხვარი და მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დოკუმენტაცია. გზამკვლევის ელექტრონული ვერსია ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზეა განთავსებული, ხოლო უახლოეს მომავალში, ბეჭდური სახით გამოიცემა.

„პია“

სამართალი

„კი, მაგრამ ღმერთი აღარაა, ბნელა?!“

მე-3 გვერდიდან

„ქართუს“ გამკოტრებლები, რომლებიც სააპელაციოში მოსამართლეობისთვის ემზადებიან

„ქართუს“ გაკოტრების სქემა აქტიურად ამუშავდა მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განაცხადა. გავრცელებული კულუარული ინფორმაციით, სქემის ავტორი სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის თავმჯდომარე ლაშა კალანდაძეა. მისმა მეუღლემ, თამარ ჩიხლაძემ კი, რომელიც საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გახლავთ, 2012 წლის 12 ივლისს, „ქართუ ჯგუფის“ 100% აქციების იძულებით მმართველად, ვლადიმერ უგულავა დანიშნა, მაშინ, როცა მოქმედი კანონმდებლობა, იძულების ასეთ ფორმას არ ითვალისწინებდა.

2012 წლის 9 ივლისიდან 2012 წლის 22 აგვისტოს ჩათვლით, სწორედ ლევან მურუსიძისა და უზენაესი სასამართლოს კიდევ ორი მოსამართლის გადაწყვეტილებით, კრიმინალ კახაბერ ვარდუკაძეს მიეცა შესაძლებლობა, იძულებითი აღსრულების გზით ბანკიდან დანაშაულებრივად მიეღო 711, 831, 62 ლარი.

სააპელაციო სასამართლოში დაწინაურება სურს მოსამართლე ნანა კობახიძესაც, რომლის გადაწყვეტილებითაც, თავის დროზე, ბანკი „ქართუ“ 822 040 ლარით დააჯარიმეს, ე.წ. უკანონო შემოწირულობების გამო.

„ქართუს“ გაკოტრების სქემაში მონაწილე კომპანიებისა და იმ მოსამართლეების სია, რომლებმაც თავის დროზე სქემის სისრულეში მოყვანაში დანაშაულებრივ ჯგუფს ხელი შეუწყვეს, დღეს კი, სააპელაციოში გასამწესებლად ემზადებიან, ასეთია: სს „ეკრანი“ — მოსამართლე შორენა ჯანხოთელი; შპს „ბალი ჯგუფი“ — მოსამართლეები ირაკლი ადეიშვილი, თინათინ ეცადაშვილი; შპს „საქართველოს ღვინოები“ — მოსამართლე მაია ბაქრაძე; შპს „თბილისი ფროფერთიზ გრუპი“ — მოსამართლე ნანა კობახიძე; შპს „ბათოილი“ — მოსამართლე ივანე ყიფიანი; შპს „ქაუქასუს სირიალ კომპანი“ — მოსამართლეები: ირაკლი ადეიშვილი, თინათინ ეცადაშვილი. ჯამში, 2012 წლის 15 ივნისს, ბიძინა ივანიშვილს, დაახლოებით 75 მილიონი ლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა.

სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეობაზე პრეტენზიას არ აცხადებს, მაგრამ „ქართუს“ გაკოტრების სქემაში აქტიურად მონაწილეობდა, ბოლო დროს „რუსთავი 2“-ის საქმის გამო გაპოპულარულებული თამაზ ურთმელიძე და რამდენიმე ათეული მოსამართლე, რომლებიც დღეს, კვლავ ასრულებენ თავის მოვალეობას. არავინ ამბობს, რომ ისინი საქმიანობას უნდა ჩამოშორდნენ, მაგრამ იქნებ ჯობია, გირგვლიანის, მოლაშვილის, ვაზაგაშვილის და სხვა გახმაურებულ საქმეებში მონაწილე, პოლიტიზირებული პირები, რომლებიც ბიზნესსაც ატერორებდნენ, დროებით ტაიმ-აუტს თუ არ აიღებენ, პასიურ მდგომარეობაში მაინც დარჩნენ. ან იქნებ ჯობია, კონკრეტულ მოსამართლეებზე დისციპლინარული დევნა დაიწყოს, მაგრამ... როგორც კულუარებში ამბობენ, ეს ოცნების სფერო, სანამ ამ პროცედურის დაწყება-არდაწყებაც, მურუსიძის ხელშია.

სამწუხაროდ, ძალიან დიდია იმ მოსამართლეების რაოდენობა, რომლებმაც, წლების განმავლობაში, 22 ათას საქმეზე მიიღეს უკანონო გადაწყვეტილება. სწორედ მათი დამსახურებით, ქვეყანას 200 პოლიტპატიმარი ჰყავს. ასეთი მოსამართლეების ფსიქოლოგია ერთ დღეში არ შეიცვლება, — აცხადებენ ექსპერტები და საკმაოდ, უსიამოვნო პროგნოზსაც აკეთებენ — თუ ისინი სააპელაციოში გადაინაცვლებენ, ვითარება კიდევ უფრო ქაოტური გახდება. ისინი, ყველაფერს გააკეთებენ, რომ კონკრეტული საქმეები უზენაეს სასამართლომდე არ მივიდეს და შესაბამისად, ადამიანებს, სიმართლის ზემდგომ ინსტანციაში პოვნის იმედიც გაუქრებათ.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ცესკო-ში სკანდალური დარღვევები აღმოაჩინა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შესაბამისობის აუდიტი ჩაატარა. აუდიტის პერიოდი 2013-2014 წლებს მოიცავს და ისეთი დარღვევები გამოვლინდა, რაც წესით, ცესკოს ფინანსისტებს არ უნდა შეშლოდათ. ქვეყანაში არჩევნების ჩატარებას და მის გამჭვირვალობას ცესკო უზრუნველყოფს, ამიტომ უცნაურია, რომ სწორედ ამ უწყებაში დაფიქსირდა დარღვევები ელექტრონული შესყიდვების ან თუნდაც საოლქო კომისიების დაფინანსების დროს. ცესკო-ს წარმომადგენლებმა აუდიტორებს სამივლინებო და სხვა მნიშვნელოვანი ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტებიც კი ვერ წარუდგინეს. მეტიც, აუდიტის შედეგად, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ინტერესთა კონფლიქტის ფაქტებიც გამოვლინდა.

დარღვევები მივლინებების დროს

ცესკო-ს აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ქვეყნის გარეთ მივლინების მუხლით გაწეულ ხარჯებში გარკვეული შეუსაბამობაა. მაგალითად, ცესკო-ს წარმომადგენლებმა სახელმწიფო აუდიტორებს ვერ წარუდგინეს მიწვევები ან/და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია, სადაც მითითებული იქნებოდა მივლინების მიზნობრიობა და საფუძველი.

საპარლამენტო სწავლების საერთაშორისო ცენტრის (IPCS) მიერ ორგანიზებულ საარჩევნო საკითხთა მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმზე დასწრების მიზნით, 2013 წლის 30 ნოემბრიდან, მალაიზიაში, კუალა ლუმპურში, მივლინებული იყვნენ 5 პირი — ცესკო-ს თავმჯდომარე, წევრი, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, სწავლების ცენტრის დირექტორი და დირექტორის მოადგილე. სიმპოზიუმზე დასასწრებად ცესკო-ს თავმჯდომარე, სწავლების ცენტრის დირექტორი და ერთი თანამშრომელი მიიწვიეს, დანარჩენი პირების მივლინების მიზნობრიობა და აუცილებლობა ცესკო-ს წარმომადგენლებმა ვერ დაამტკიცეს.

აუდიტის ჯგუფმა ზოგიერთ მივლინებაზე საკმარისი მტკიცებულება ვერ მიიღო. მაგალითად: ცესკო-ს თავმჯდომარის 2012 წლის 19 მარტის N04-23 ბრძანებით, ცესკო-ს იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებთან ურთიერთობისა და საარჩევნო დავების განყოფილების უფროსი, სომხეთის რესპუბლიკაში საპარლამენტო არჩევნებში გრძელვადიანი დამკვირვებლის სტატუსით იყო მიწვეული.

მოქმედი კანონმდებლობით, სომხეთში საცხოვრებელი დაქირავების ხარჯების ანაზღაურების სადღეღამისო ნორმა დედაქალაქში 105 აშშ დოლარს, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე — 53 აშშ დოლარს შეადგენს. ამ მივლინებაზე ცესკო-მ 5 355 აშშ დოლარი დახარჯა, მაგრამ აუდიტის ჯგუფს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება ვერ წარუდგინეს. მეტიც, სახელმწიფო აუდიტორები ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებითაც კი ვერ დარწმუნდნენ, რომ ცესკო-ს მიერ, ერევნის სასტუმროში გახარჯული 5 355 აშშ დოლარი რეალობას შეესაბამებოდა.

საგრანტო თანხების მიზნობრიობა

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე პრიმა მუხლის მიხედვით, სწავლების ცენტრი იმ ფონდის ფუნქციებს ასრულებს, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ირიცხება თანხა. ფონდის მიზანი პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარება, ასევე ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობაა. ამავე მუხლის მე-7 პუნქტით, ფონდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხის 50% უნდა განაწილდეს პარტიებზე, ხოლო 50% — არასამთავრობო ორგანიზაციებზე. 2013 წელს, არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაცემული გრანტების საერთო მოცულობა — 1 244 100 ლარი, ხოლო 2014 წელს — 1 511 500 ლარი იყო. საგრანტო კონკურსის დებულების მე-11 მუხლით, პროექტზე გაცემული საგრანტო თანხა მიზნობრივად, ეფექტურად და დასაბუთებულად უნდა დაიხარჯოს. ამ პრინციპის დაცვით, პროექტის განხორციელებაზე გაცემული საგრანტო თანხებით შეიძლება დაფინანსდეს შრომის ანაზღაურება, მგზავრობის (მხოლოდ საქართველოს ფარგლებში), ოფისის (საკანცელარიო, საოფისე ტექნიკა, სასტამბო ხარჯი), წარმომადგენლობითი ხარჯები (კონფერენციებისა და შეხვედრების ორგანიზება).

2014 წლის 11 აპრილს, არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი — ააიპ „საზოგადოებრივ დამცველთან“ 3 საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდა. მის ფარგლებში, 28 627 ლარი, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის ანგარიშზეა გადარიცხული. თუმცა იმ დოკუმენტაციის საფუძველზე, რაც ცესკო-ს წარმომადგენლებმა სახელმწიფო აუდიტორებს წარუდგინეს, შეუძლებელია, ამ თანხის გადარიცხვის საფუძველი და ინსტიტუტის მიერ გაწეული მომსახურება დადგინდეს.

2013 წლის 25 ივლისს, ააიპ „ევროკავკასიური თანამშრომლობის ასოციაციასთან“ გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, 2 350 ლარის ღირებულების ავეჯი და 1 324 ლარის ღირებულების ციფრული კამერა — Samsung Galaxy შეიძინეს. თუმცა სახელმწიფო აუდიტორები, ფოტოკამერის შეძენის გადაწყვეტილების აუცილებლობაში ვერ დარწმუნდნენ.

2014 წლის 15 მაისს, ააიპ „სამოქალაქო განვითარების ქართულ-ბერძნულ ფონდ გორგია-ელადასთან“ გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, პირადი მოხმარებისათვის, 478 066 ლარის ღირებულების ჰიგიენის საგნები და პროდუქტები შეიძინეს. მაგალითად, ტანის დეზოდორანტი, 1 ბოთლი ზეთი, 3 ცალი გაყინული ქათამი, ერთი ცალი მარგარინი. ამავე ხელშეკრულებით, ცესკო-ს წარმომადგენლებს ამერიკის მოქალაქისაგან 1 700-ლარიანი მეორადი მოხმარების ვიდეოკამერაც შეუძენიათ.

2014 წლის 11 აპრილს, ააიპ „მედიის განვითარების ფონდთან“ გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კონკურსის — „ჩემი ლიდერი ქალები“ გამარჯვებულთა და ლიდერ ქალთა დაჯილდოების ცერემონიალის ჩასატარებლად, 9 718 ლარი გაიხარჯა. გარდა ამისა, 4 450 ლარი ელექტრო-ტექნიკის შესაძენად დახარჯეს. თუმცა სახელმწიფო აუდიტორები ამ ხარჯების მიზნობრიობაში ვერ დარწმუნდნენ.

2014 წლის 11 აპრილს, ააიპ „Post ალიონთან“ გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, 3 583 ლარის ლარის ღირებულების კომპიუტერი და 3 985 ლარის საწვავის ტალონები შეიძინეს. ცესკო-ს მიერ, სახელმწიფო აუდიტორებისთვის წარდგენილი დოკუმენტაცია კი საწვავის გახარჯვასთან დაკავშირებულ დეტალურ ინფორმაციას არ შეიცავს, რადგან ამ დოკუმენტებში არც გავლილი მანძილი იყო აღრიცხული და არც გასვლისა და დანიშნულების ადგილები.

დარღვევები სახელმწიფო შესყიდვებში

ცესკოს მიერ 2013-2014 წლებში განხორციელებული გამარტივებული შესყიდვების ნაწილი განხორციელებულია შესყიდვების წლიურ გეგმაში წინასწარი რეგისტრაციის გარეშე, რითაც დაარღვია კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. 2013 წელს, წინასწარი რეგისტრაციის გარეშე განხორცილებულია 40, ხოლო 2014 წელს — 46 გამარტივებული შესყიდვა.

საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 2013 წელს, ცესკო-მ შპს „პრომო ვეარისგან“ 25 170 ლარის სხვადასხვა სახის მაისური, ხოლო შპს „პრომო შოპისაგან“ — 12 770 ლარის ბლოკნოტები, საქაღალდეები და ქაღალდის ჩანთები შეიძინა. 2014 წლის 18 აპრილს, შპს „პრომო შოპისაგან“ 55 380 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების ცესკო-ს ლოგოთი ბრენდირებული პროდუქცია იყიდეს. ცესკოს წარმომადგენლებმა აუდიტორებს შესაფერისი მტკიცებულებები ვერ წარუდგინეს, თუ რა ღონისძიებები გამოიყენეს, რათა პოტენციური მიმწოდებლები გამოევლინათ და რაც მთავარია, არც ბაზრის კვლევა განუხორციელებიათ.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვების დაგეგმვა საბიუჯეტო წლის დაწყებამდე დაიწყოს და არა უგვიანეს წინა წლის 20 ნოემბრამდე, შესყიდვების წლიური გეგმა დაარეგისტრიროს. ცესკო საბიუჯეტო წლის მიმდინარეობისას განსაზღვრავს შესასყიდი საქონლისა და მომსახურების სახეობასა და რაოდენობას. მაგალითად, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, შესასყიდი საქონლის (მომსახურების) ჩამონათვალი და რაოდენობა 2013 წლის მაისში განისაზღვრა, ხოლო 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის — 2014 წლის 31 იანვრის ბოლოს. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ცესკო-ს ხელმძღვანელობა არ ატარებდა ქმედით ღონისძიებებს შესყიდვების განხორციელების გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად. სწორი და დროული დაგეგმვის პირობებში, შესაძლებელი იქნებოდა, 2013-2014 წლებში, გამარტივებული შესყიდვის ნაცვლად, ცალკეული საქონელი სატენდერო პროცედურების საშუალებით შეეძინათ. 2013 წელს, ცესკომ 276 415 ლარის ბიულეტენების კომპიუტერული საბეჭდი ტექნიკა, ქაღალდი, სკანერები, საარჩევნო სავარძლები, უბნის აბრები და ამომრჩევლის ხელმოწერის დამაფიქსირებელი სახაზავები, საარჩევნო კაბინის ნაწილები, ხოლო 2014 წელს — 200 038 ლარის კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარები, ასევე 185 125 ლარის ღირებულების კარტრიჯები შეიძინა. აუდიტორებმა დაადგინეს, რომ აქსესუარების, კარტრიჯებისა და კომპიუტერული ტექნიკის სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვის პროცესი არაორგანიზებულად წარიმართა. სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ცესკო-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შორის არასაკმარისი კომუნიკაცია იყო, რის გამოც დროულად ვერ ხდებოდა შესასყიდი საქონლის ტექნიკური სპეციფიკაციების განსაზღვრა. ეს კი დაგვიანებულ და გადაუდებელ სახელმწიფო შესყიდვებს იწვევდა.

საოლქო კომისიების დაფინანსება

აუდიტორული შერჩევის საფუძველზე, 25 საოლქო საარჩევნო კომისიის საქმიანობა შემოწმდა და დადგინდა, რომ საოლქო კომისიები მხოლოდ საარჩევნო პერიოდში, მათ მიმდინარე საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით ფინანსდებოდნენ. 2013 წელს, საოლქო კომისიების მიერ აუთვისებელმა თანხამ მიღებული დაფინანსების 7%, ხოლო 2014 წელს — 13% შეადგინა, რაც საოლქო კომისიების მხრიდან თანხების გამოყოფაზე მოთხოვნის წარდგენა-დაგეგმვის პროცესის სისუსტეზე მიუთითებს.

საარჩევნო კოდექსის თანახმად, საოლქო კომისიები ვალდებული არიან, რომ არჩევნების დასრულების შემდეგ, ცესკო-ში საფინანსო ანგარიში წარადგინონ. სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ საოლქო კომისიების მიერ წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული ინფორმაცია არ ეფუძნება რეალურ მონაცემებს. მაგალითად, ხშირად გვხვდება წმინდა ღირებულების უარყოფითი ნაშთები, რაც თეორიულად შეუძლებელია.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 53-ე მუხლის მიხედვით, საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესი განისაზღვრებოდა ცესკო-ს დადგენილებით, თუმცა ცესკო-ს მიერ მიღებული დადგენილებები არ შეიცავდა ინფორმაციას კონკრეტული ტიპის ხარჯის დეტალური მიზნობრიობის შესახებ, რაც მნიშვნელოვნად ზრდიდა საოლქო კომისიების მიერ თანხების არამიზნობრივად გამოყენების რისკებს.

2013-2014 წლებში, საარჩევნო კოდექსის მე-19 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, ცესკოს განკარგულებებით დადგენილი იყო საოლქო კომისიების დამხმარე და ტექნიკური პერსონალის ზღვრული ოდენობა. ამასთან, საოლქო კომისიებს ევალებოდათ არანაკლებ ერთი ბუღალტრისა და იურისტის დაქირავება. ხელშეკრულებით აყვანილ პირთა შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრებოდა საოლქო კომისიის თავმჯდომარეების შეხედულებისამებრ. დამხმარე პერსონალის (მათ შორის იურისტი, ბუღალტერი) შრომის ანაზღაურების განსაზღვრისას, ერთიანი მიდგომის არარსებობის გამო, განსხვავებული იყო სხვადასხვა საოლქო კომისიების მიერ ერთი და იგივე სამუშაოს შესასრულებლად დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურების ოდენობა.

ზოგიერთ შემთხვევაში, საოლქო კომისიების მიერ დამხმარე პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ვადა საარჩევნო პერიოდს სცდებოდა, რაც ეწინააღმდეგებოდა საარჩევნო კოდექსის მე-19 მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნებს. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა შრომის ანაზღაურების ზედმეტი ოდენობით გაცემის ფაქტებს. თელავის საოლქო კომისიას დამხმარე პერსონალი დაქირავებული ჰყავდა 2013 წლის 1 აგვისტოდან 16 ნოემბრამდე, ხოლო ნაძალადევის საოლქო კომისიის მიერ დამხმარე პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ვადა განსაზღვრული იყო 2013 წლის 1 სექტემბრიდან 20 ნოემბრამდე, არადა, საარჩევნო პერიოდი 12 ნოემბერს დასრულდა. ვაკის საოლქო კომისიის მიერ დამხმარე პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ვადა განისაზღვრა 2014 წლის 9 ივლისიდან 8 აგვისტომდე, ხულოს საოლქო კომისიას დამხმარე პერსონალი დაქირავებული ჰყავდა 2014 წლის 3 ივლისიდან 30 ივლისამდე, საარჩევნო პერიოდი კი 22 ივლისს დასრულდა.

აუდიტით დადგინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, საოლქო კომისიების მიერ დამხმარე პერსონალის სახით დაქირავებული იყვნენ საოლქო კომისიის თავმჯდომარის, საოლქო კომისიის მუდმივი წევრების ახლო ნათესავები, ასევე მათ მიერ დაფუძნებული სამეწარმეო სუბიექტების ხელმძღვანელები. ზოგიერთი საოლქო კომისიის მიერ, შრომის ანაზღაურების გაცემა ხდებოდა არა თანამშრომლის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით, არამედ — ნაღდი ანგარიშსწორებით. 2013-2014 წლებში, ახალქალაქისა და დიდუბის საოლქო კომისიების მიერ, შრომის ანაზღაურება წარმოებდა ნაღდი ანგარიშსწორებით. ამასთან, დიდუბის ოლქის 2013 წლის ნოემბრის სახელფასო უწყისში, იურისტისა და ერთი დამხმარე პერსონალის ხელმოწერა არ ფიქსირდება. ეს ფაქტები მიუთითებს საოლქო კომისიების შრომის ანაზღაურების პროცესში არსებულ ხარვეზებსა და ცესკოს მიერ, საოლქო კომისიების საქმიანობის კონტროლის სისუსტეზე.

ინტერესთა კონფლიქტი

საარჩევნო კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, საოლქო კომისიის თავმჯდომარეები წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს და მათზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. აუდიტით დადგინდა, რომ უმეტეს შემთხვევაში, საოლქო კომისიის თავმჯდომარეები, იმავდროულად, სამეწარმეო საქმიანობასაც ეწეოდნენ, რაც საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 60-ე და 63-ე მუხლის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

საოლქო კომისიების მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, ადგილი ჰქონდა ,,სახელმწმიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებთან შეუსაბამობის ფაქტებს, კერძოდ, ინტერესთა კონფლიქტს. 2013-2014 წლებში, ჩუღურეთის საოლქო კომისიის მიერ, 28 478 ლარის სატრანსპორტო მომსახურება (საწვავით უზრუნველყოფა წარმოადგენდა საოლქო კომისიის ვალდებულებას) ოლქის თავმჯდომარის მეუღლისგან შეიძინეს, რომელთანაც იმავდროულად, შრომითი ხელშეკრულებაც ჰქონდათ გაფორმებული.

ამავე პერიოდში, ჩუღურეთის საოლქო კომისიამ, 20 175 ლარის ღირებულების ავტომობილის დაქირავებისა და საარჩევნო უბნების მოწყობის მომსახურება, საოლქო კომისიის თავმჯდომარის მიერ დაფუძნებული საწარმოს დირექტორისგან შეისყიდა. საარჩევნო უბნების მოსაწყობად საჭირო ინვენტარის დაქირავებაზე (ჯამურად 26 000 ლარი) ხელშეკრულებები ორ პირთან იყო გაფორმებული, რომლებიც იმავდროულად, საოლქო კომისიის დამხმარე პერსონალად ითვლებოდნენ. 10 070 ლარის ღირებულების საოლქო კომისიის შენობის სარემონტო სამუშაოებიც ამავე ოლქის დამხმარე პერსონალისგან შეისყიდეს.

2013-2014 წლებში, ფოთის საოლქო კომისიამ, ამავე საოლქო კომისიის ბუღალტრის მიერ დაფუძნებულ საწარმოში, 10 520 ლარის ღირებულების საკანცელარიო საქონელი შეიძინა.

ტრაგედია სახელად „ჩრდილოეთ კორეა“

ლევან სეფისკვერაძე

ჩრდილოეთ კორეის ოდიოზური ლიდერი, კიმ ჩენ ირ უმცროსი დღეს დასავლეთის პრესაში კომიკურ ფიგურად მიიჩნევა და მასზე ძირითადად სატირული ჟურნალები წერენ. კიმ ჩენ ირი სტადიონზე, კიმ ჩენ ირი მუშებთან, კიმ ჩენ ირი საქსოვი კომბინატის თანამშრომელ ქალებთან, კიმ ჩენ ირი წყალქვეშა ნავში და კიმ ჩენ ირი მიწის ქვეშ – ასეთი სახის არაერთი პროპაგანდისტული ჩრდილოკორეული ვიდეოკლიპი ვრცელდება ინტერნეტით და დიქტატორულ რეჟიმში არმცხოვრები ადამიანები კარგად ხალისობენ კორეულ აბსურდზე, რომელსაც უკვე ალბათ პროპაგანდაც კი აღარ ჰქვია.

მაგრამ, არის კი ეს ყველაფერი სასაცილო? ღირს კი ხითხითი იმაზე, რომ მილიონობით ადამიანი ჩრდილოეთ კორეაში სულ „სხვა სამყაროში“ ცხოვრობს და მათ დაჯერეს, რომ მთელ მსოფლიოს მათი სამშობლოსი შურს და ებრძვიან – თავად კორეა კი „მხარგაშლილი მიემართება განვითარების მწვერვალებისაკენ“. ეს არის ტრაგედია, რომელიც დანარჩენი მსოფლიოსგან, ერთი შეხედვით, განყენებულად ხდება.

არადა, იქაც ყველაფერი სხვანაირად დაიწყო. დიდი ომის შემდეგ, როდესაც კორეა შუაზე, სოციალისტურ და კაპიტალისტურ სახელმწიფოებად გაიყო, ჩრდილოეთ კორეა, მართალია, კომუნისტური იდეოლოგიით ტვინგამორეცხილი ხალხის ხელში ჩავარდა, მაგრამ მაშინ ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, რომ დადგებოდა დრო, როდესაც კორეის ტელევიზია ხალხს დააჯერებდა იმას, თითქოს ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონი მათი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრები გახდა, თითქოს სამხეთ კორეა შიმშილობს და ჩრდილოეთ კორეაში ხუთშაბათ დღეს იმიტომ არ რიგდება საჭმლის ბარათები, რომ ეს საჭმელი სპეციალურ საწყობებში ინახება, რადგან ახლო არს სამხრეთის ჩრდილოეთთან მიერთების ჟამი და ამდენ „მშიერ“ სამხრეთელს დაპურება ხომ უნდა?

თავიდან ალბათ ჩრდილოეთ კორეის ერთ-ერთი არქიტექტორი, სტალინიც კი ვერ წარმოიდგენდა იმას, რაც დღეს კორეაში ხდება, რადგან ერთია დიდი ძალაუფლების ქონის წყურვილი და მეორეა ხალხისათვის სახის დაკარგვა და წარმოუდგენელ და უცნაურ მასად ქცევა, რომლებიც უკლებლივ ყველაფერს გააკეთებენ მათი შეშლილი ლიდერისათვის და თან მოსწონთ ქვეყანა, სადაც კითხვის დასმაც კი უკვე დანაშაულად ითვლება.

მთელი ინტერნეტსივრცე მოიარა და ალბათ თქვენც გინახავთ უფროსი კიმ ჩენ ირის გარდაცვალების თანმხლები გლოვის კადრები. ძველ ფირებზე ალბათ ასევე ბევრს გვინახავს, როგორ დასტირის მთელი საბჭოეთი მანიაკ სტალინს და თუკი ინტერნეტში კარგად მოიქექებით, მკვდარ ჰიტლერსა და გენერალ ფრანკოზე ცრემლის ჩამომგდები ხალხიც ბლომად იქნებოდნენ, მაგრამ კორეაში სულ სხვა მასშტაბის უბედურებასთან გვაქვს საქმე. ეს არაა ტირილი. ესაა შიზოფრენია! თვითგვემა! სამყაროს აღსასრული!

ადრე მეგონა, რომ ბეჩავი კორეელები ამ ყველაფერს მხოლოდ დასჯის შიშითა და ტელეკამერების წინ პოზიორობის გამო აკეთებდნენ, მაგრამ ახლა თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ბევრ კორეელს, უბრალოდ ლიდერების გაფეტიშების მეტი, ცხოვრებაში არაფერი უნახავს და მათთვის ეს არც სირცხვილია და არც უბედურება. იმ ქვეყანაში უკვე გაიზარდა თაობები, რომელთაც კორეის იქით მთელი სამყარო ერთ დიდ და საზარელ ალაგად წარმოუდგენია და ისინი თავს დაუფიქრებლად განირავენ სამშობლოსათვის, რომელიც მთლიანობაში მათი საპატიმროა და მეტი არაფერი.

ძალიან კარგად ამბობს ერთ-ერთი სამხრეთკორეელი ისტორიკოსი, როდესაც ჩრდილოეთ კორეის ამბებს მიმოიხილავს: „ამ ადამიანებს ყველაფერი შეუცვალეს: სახელი, გვარი, აზროვნება, გემოვნება, ვარცხნილობაც კი... ამიტომ ძალიან კრიტიკულნი ნუ ვიქნებით მათ მიმართ და ნუ გაგვიკვირდება, თუკი ისინი კიმ ჩენ ირის რეჟიმს ბოლომდე დაიცავენ“.

და მაინც... თავიდან ვერავინ წარმოიდგენდა, რაც შემდეგში კორეაში მოხდებოდა. ასეა, დიქტატურა ყოველთვის არაპროგნოზირებადია და იქ ხარობს, სადაც ბელადები უყვართ. ბელადს კი, სულაც არაა აუცილებელი, გამჭოლი მზერა და დიდი, შავი ულვაშები ჰქონდეს...



საჯარო ბიბლიოთეკის სკანდალის ახალი დეტალები

ყოფილი თანამშრომლები პარლამენტის თავმჯდომარეს ღია წერილს უგზავნიან და ბიბლიოთეკაში აუდიტის სამსახურის შესვლას ითხოვენ

ნინო კომახიძე
599-95-33-16

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გარშემო დავა 2015 წელს არ დაწყებულა. როგორც საჯარო ბიბლიოთეკის ყოფილი თანამშრომლები წლებია აცხადებენ, ჯერ კიდევ 1997 წლიდან მოყოლებული, უნიკალური წიგნადი ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილია დაკარგული, გაუქმებული წიგნის პალატიდან კი ჰაერში 1 200 000 წიგნი გაქრა. ამ და ბიბლიოთეკაში არსებული სხვადასხვა დარღვევის ფაქტების გამოძიების მოთხოვნით, ბიბლიოთეკის ყოფილმა თანამშრომლებმა წინა ხელისუფლების პირობებშიც ბევრი იდავეს, 2012 წლის 21 ნოემბერს კი, „სამართლიანობის აღდგენის“ იმედად, საქართველოს მთავარ პროკურატურასაც მიმართეს, თუმცა უშედეგოდ. 6 დღეში, პროკურატურამ მასალები ძველი თბილისის რაიონულ პროკურორს გადაუგზავნა, ეროვნული ბიბლიოთეკის კუთვნილი ქონების უკანონოდ დაუფლების ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით. ამავე წლის 20 დეკემბერს კი სათანადო რეაგირებისთვის, განცხადება შს სამმართველოს მე-7 განყოფილებას გადაეგზავნა. მოდავეებმა მხოლოდ 2013 წლის მარტში გაიგეს, რომ გამოძიება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის 1 ქვეპუნქტით დაიწყო, თითქოს ბიბლიოთეკის გაძარცვა რიგითი ქურდობა ყოფილიყო. კვალიც სწორედ აქ იკარგება — საქმე გაურკვეველი ვადით თაროზეა შემოდებული და ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ეჭვი აქვთ, რომ დანაშაულს დღევანდელი ხელისუფლების წევრებიც ხელს აფარებენ.

დავის მეორე რაუნდი სწორედ 2012 წელს, „ოცნების“ ხელისუფლების მოსვლის შემდეგ დაიწყო. პროკურატურის გარდა, ბიბლიოთეკის ყოფილმა თანამშრომლებმა ოფიციალური წერილით პარლამენტის თავმჯდომარეს, მთავრობის კანცელარიას, პრეზიდენტის ადმინისტრაციას, კონტროლის პალატასა და მთავარ პროკურატურას მიმართეს. წერილში, 2007 წლიდან დღემდე, ბიბლიოთეკაში არსებულ განუკითხაობაზეა საუბარი. ამ პერიოდში, საჯარო ბიბლიოთეკას ბორის გაგუა ხელმძღვანელობდა, რომელმაც დისკრიმინაციული ატესტაცია ჩაატარა თანამშრომლებს შორის, მათგან ზოგიერთი კი გამოცდაზე საერთოდ არ დაუშვა. გაგუა არც სასამართლოს ორ განჩინებას დაემორჩილა, რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლებული თანამშრომლების დაბრუნებისა და გაყინული ხელფასების დროულად დარიგების შესახებ; ასევე, ბიძინა ივანიშვილის მიერ „ქართუ ჯგუფიდან“ გამოყოფილი საქველმოქმედო თანხა პირადი კომფორტისთვის გამოიყენა და ძვირადღირებული ავეჯი და ორი ავტომანქანა შეიძინა. ივანიშვილის მიერ ბიბლიოთეკისთვის ნაჩუქარი ფულის გაფლანგვის შესახებ მაშინდელ პრესაშიც იბეჭდებოდა, „ვერსიის“ 2007 წლის 11-17 ივლისს ნომრებში კი ექსკლუზიური ჟურნალისტური გამოძიებაც გავიდა. 2007 წელს, ქართველოლოგიის სამკითხველო დარბაზიდან 5000 ლარად შეფასებული წიგნი დაიკარგა და ა.შ. ეს ის ბრალდებებია, რომელსაც მოდავე ქალბატონები გაგუას უყენებენ. ბატონმა გაგუამ პარლამენტის მაშინდელ თავმჯდომარეს, დავით ბაქრაძეს მიმართა, საბიუჯეტო თანხების გაზრდის მოთხოვნით და სწორედ მაშინ გამოიყო 50 000 ლარი წიგნადი ფონდის შევსებისთვის. გაურკვეველია ამ თანხის მიზნობრივად გახარჯვის საკითხიც. მისივე სურვილით, ეროვნული ბიბლიოთეკის საერთო ფონდიდან გერმანულენოვანი ტექნიკური ლიტერატურა, ძვირადღირებული ყდებით, გერმანიის ბუნდესტაგს გადაეცა. გაუგებარია, ეს ვისი დავალებით ან რომელი კანონის შესაბამისად მოხდა და ეს წიგნები ქვეყნიდან ამ ძვირფასი ყდებით გავიდა თუ მათ გარეშე. გაურკვევლობას იწვევს 2006 წელს, უკვე გაუქმებული სტრუქტურის, წიგნის პალატის ფონდების ბიბლიოთეკის მიერ მიღება-ჩაბარების საკითხიც, ზოგადად, წიგნის პალატის გაუქმების ფაქტზე რომ აღარაფერი ვთქვათ. წერილის ავტორები ქვეყნის პირველ პირებს ეროვნული ბიბლიოთეკის საერთო ფონდის რაოდენობაზეც აწვდიან ინფორმაციას. ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე მოცემულია, რომ ბიბლიოთეკაში დაახლოებით 4 მილიონი ერთეული წიგნია, თუმცა ეს რიცხვი საბუთებით არაა დადასტურებული. არაა აღრიცხული იშვიათი გამოცემები და შესაბამისად, ყოფილი თანამშრომლები ბიბლიოთეკის ფონდების დაკომპლექტების საქმეში აღმოჩენილ ნაკლოვანებებზეც საუბრობენ: უხეშადაა დარღვეული საინვენტარო წიგნების წარმოების წესი. უპასუხისმგებლოდაა შედგენილი ლიტერატურის ჩამოწერის აქტები, მკითხველთა მიერ დაკარგულ წიგნებზე კი, საბუთებით, მხოლოდ მათი ჩამოწერა გატარებული და არა ანაზღაურება. მომსახურების განყოფილების საერთო დარბაზის ფონდიდან მაკულატურაში ჩასაბარებელი ლიტერატურის სიებში უნიკალური ლიტერატურაა შეტანილი. ლიტერატურის ჩამოწერის აქტები ფიქტიურია. ბიბლიოთეკათშორისი აბონენტის განყოფილების დავალიანება 4 770 ეგზემპლარს შეადგენს. ამავე განყოფილებიდან, თანამშრომლებზე გაცემული და დაუბრუნებელი ეგზემპლარების რაოდენობა 2071-ია. იგნორირებულია კადრების სპეციალისტებით დაკომპლექტების საკითხი — თანამშრომლებს მიკერძოებულად ირჩევენ და ათავისუფლებენ. დარღვეულია კანონი ნეპოტიზის შესახებ, რადგან ვაკანტური საკონკურსო შტატები მუდმივად შევსებულია დირექციის ახლობლებით. წერილის ბოლოს, ყოფილი თანამშრომლები ახალი სახელმწიფო ორგანიზაციის შექმნის იდეით გამოდიან: **„ამ საკითხზე ბიბლიოთეკათმცოდნეებმა, მწერლებმა, პოეტებმა, მეცნიერებმა ვიმსჯელეთ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ აუცილებელია, შეიქმნას სახელმწიფო ორგანიზაცია, „საქართველოს საბიბლიოთეკო საკოორდინაციო ცენტრი“, რომელიც კონტროლს გაუწევს ქვეყნის შიგნით არსებულ ყველა ბიბლიოთეკას, რათა მუშაობა ერთიანი საბიბლიოთეკო წესის დაცვით წარიმართოს. ასევე, უნდა დაარსდეს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, რომელიც გასცემს სერტიფიკატს“.** ხელმომწერთა შორის არიან ემზარ კვიციანი, ვაჟა ოთარაშვილი, ზაზა დავითაია, ვახტანგ მაისაია, ნინო მიქიაშვილი, ერეკლე საღლიანი და სხვები. სწორედ ვაჟა ოთარაშვილს, ყოფილ პარლამენტარსა და პოეტს მიმართეს ბიბლიოთეკის ყოფილმა თანამშრომლებმა დასახმარებლად. **ვაჟა ოთარაშვილი** განმარტებას „ვერსიისთვისაც“ აკეთებს და რესპუბლიკელ ლევან ბერძენიშვილს, რომელიც საჯარო ბიბლიოთეკას 1998-2004 წლებში ხელმძღვანელობდა, მძიმე ბრალდებებს უყენებს: **„ჩვენი ეროვნული განძი, წიგნადი ფონდი ლევან ბერძენიშვილმა გაანიავა, რაც აუცილებლად უნდა გამოიძიონ. ასევე, შესასწავლია, რატომ დაიხურა წიგნის პალატა და როგორ დაიკარგა უამრავი წიგნი. მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, გაიყიდა წიგნის პალატის უნიკალური გამოცემები, დისერტაციები, რეფერატები, გამოგონებები, რაც ერის ინტელექტუალური საკუთრებაა და რასაც ჩვენი ბიუჯეტისთვის დიდი მოგების მოტანა შეეძლო. ამ დროს, დანაკარგის რაოდენობაც კი არაა დათვლილი. წიგნები დაკარგულია საჯარო ბიბლიოთეკაშიც, რაშიც დღევანდელი ხელმძღვანელობაც გარეულია, მათ შორის, ლევან თაქთაქიშვილი, რომელსაც ყოფილი თანამშრომლები ხელს ადებენ. რამდენჯერმე მივმართე ძველი თბილისის პროკურორს, მიქაიას, მაგრამ თითი თითზე არ დაუკარებია საქმის გამოსაძიებლად. ბიბლიოთეკიდან 10 მილიონი უნიკალური გამოცემაა გამქრალი, უნიკალური შრიფტითა და ფასით! ვფიქრობ, ხელისუფლება შეგნებულად ამუხრუჭებს გამოძიების პროცესს, რადგან სიმართლის დადგენა მათ ინტერესებში არ შედის“.**

დასასრული მე-5 გვერდზე

ბერნარ კუშნერი: „მოსახლეობას ჯენერიკ მედიკამენტები დაბალ ფასად უნდა შესთავაზოთ“

ბათო ჯაფარიძე

საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე შექმნილ მდგომარეობასა და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის აუცილებლობას ვიზიტად მყოფი „გლობალური ალიანსის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ბერნარ კუშნერიც გამოეხუმაურა.

ბერნარ კუშნერმა ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული მდგომარეობაც შეაფასა და ქართველ მედიკოსებსა3 და მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლებთან აღნიშნა, რომ აუცილებელია, ჯენერიკ პრეპარატები მოსახლეობას დაბალ ფასად შესთავაზონ. ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივას, რომელიც ჯენერიკ მედიკამენტების იმპორტის ხელშეწყობასა და მათი სეგმენტის გაფართოებას გულისხმობს, მიესალმება, თუმცა აცხადებს, რომ მნიშვნელოვანია, მედიკამენტებზე კონტროლის გამკაცრება, რაც მუდმივ რეჟიმში უნდა ხდებოდეს.

„გლობალური ალიანსის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ საერთაშორისო კონფერენციაში: „ჯანდაცვის გამოწვევები 21-ე საუკუნეში — საქართველო და მსოფლიო“ მიიღო მონაწილეობა. კონფერენციას მთავრობის წარმომადგენლები და უცხოელი სტუმრებიც ესწრებოდნენ.

„როდესაც მოქალაქე გრძნობს მას შეუძლია მიიღოს ჯენერიკ პრეპარატები, რომელიც შემოდის სხვა ქვეყნებიდან, მათ შორის ინდოეთიდან, მნიშვნელოვანია შევთავაზოთ მათ ჯენერიკ პრეპარატები დაბალ ფასად, მაგრამ ამ სისტემასაც ჭირდება მუდმივი კონტროლი. მე მახსოვს ჩემს ქვეყანაში, რეფორმის დასაწყისში ჯენერიკ პრეპარატების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა არ იყო ადვილი, რადგან ეჭვის თვალით უყურებდა მოსახლეობა ამ პრეპარატებს. ასე რომ, მოგვიწევს მოქალაქეთა და ექიმების განსაკუთრებულ ჯგუფთან მუშაობა. ექიმმა უნდა აუხსნას პაციენტს, რა ხდება და რას ნიშნავს ეს. ჩვენ ვერ მივიღებთ გადაწყვეტილებას მხოლოდ ზემოდან, რომ შევცვალოთ ჯანდაცვის სისტემა. უნდა იყოს მუდმივი დისკუსია და დიალოგი ხალხთან. რა თქმა უნდა, ამას მინისტრი უნდა ხელმძღვანელობდეს, მაგრამ ამაში სამედიცინო პერსონალი უნდა ჩაერთოს. თქვენ უნდა გააკეთოთ არჩევანი ჯანდაცვის დაზღვევასთან დაკავშირებით, ანუ არჩევანი თქვენი ქვეყნის ბიუჯეტსა და ჯანდაცვის უზრუნველყოფას შორის. საფრანგეთში არ იყო ყველაზე ცუდი მდგომარეობა, ჩვენ გვქონდა ჯანდაცვის დაზღვევა, მაგრამ დიდი დრო დასჭირდა იმას, რომ თავი მოგვეყარა მთლიანი სისტემისთვის. ხანგრძლივი და რთული პროცესი იყო. ახლა ჩვენ გვაქვს ჯანდაცვის დაზღვევის ერთიანი საერთო სისტემა, რომელიც ცუდად არ მუშაობს, მაგრამ ხარჯიანია. აქ არის ერთი უპირატესობა, ყველაფერი იწყება ქვემოდან ზემოთ. ჩვენ ვთავაზობთ სისტემას არჩევანისა, რომელიც პასუხობს ზოგადი ხელმისაწვდომობის აუცილებლობის საკითხს და მედიცინის პროგრესის საკითხს“, — განაცხადა ბერნარ კუშნერმა.

„გლობალური ალიანსის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ კონფერენციაზე აღნიშნა, რომ აუცილებელია კერძო სექტორის სახელმწიფოსთან პარტნიორობა. **„თუმცა საბჭოთა სისტემის მქონე ქვეყნები გარკვეულწილად მემკვიდრეობად იღებენ გარკვეულ მიდგომებს, გამოწვევებს, რის გამოც ბევრ ქვეყანაში კერძო სექტორთან არის დისბალანსი. ჩვენ როგორც ვხედავთ საქართველოში, ჯანდაცვის სფეროში კერძო სექტორი დაახლოებით 80%-ით არის წარმოდგენილი, მაგრამ გჭირდებათ კანონი და შესაბამისი მექანიზმები, რომელიც დააბალანსებს სახელმწიფოს და კერძო სექტორის ფუნქციონირებას. კერძო სექტორისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სახელმწიფო სექტორის ფინანსები. ეს ყველაფერი უნდა იყოს ორგანიზებული“,** — განაცხადა კონფერენციაზე „გლობალური ალიანსის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ.

ბერნარ კუშნერი საქართველოს 19 ნოემბერს ესტუმრა. ამჯერად, მისი სტატუსი განსხვავებულია. იგი ახლახანს დაინიშნა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს კონტრაქტორი საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფ „გლობალური ალიანსის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ. კუშნერის ვიზიტის ძირითადი მიზანი საქართველოს ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმები, განხორციელებული წარმატებული პროექტების გაცნობა და შეფასება იყო.

საჯარო ბიბლიოთეკის სკანდალის ახალი დეტალები

მე-6 გვერდიდან

რესპუბლიკელი დეპუტატის ბრალეულობის შესახებ უფრო ვრცლად **ირმა დოლიძე** საუბრობს, რომელიც ბერძენიშვილის დირექტორობის დროს საჯარო ბიბლიოთეკაში მუშაობდა. მისი ბრალდებები არახალია, რადგან ბერძენიშვილთან დავა 1998 წლიდან იწყება, როცა იგი ბიბლიოთეკის დირექტორად დაინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ ბერძენიშვილმა ირმა დოლიძე ორჯერ დააწინაურა, მოგვიანებით, შემცირებაში მოაყოლა და გაათავისუფლა. **ირმა დოლიძე** იმ დარღვევებზე საუბრობს, რაც ლევან ბერძენიშვილის დროს ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა: **„ლევან ბერძენიშვილმა ორჯერ დამაწინაურა. ერთხელ რეგისტრატურის განყოფილების გამგეობა შემომთავაზა, მეორედ მკითხველთა უფლებების დაცვის. რეგისტრატურაში უამრავი ფინანსური პრობლემა ჰქონდა და ეს რომ აღმოვაჩინე, სწორედ მაშინ დაიწყო ჩემი და ბერძენიშვილის დაპირისპირება. მე ამ პრობლემების მოგვარება დამევალა და აღმოვაჩინე „ლევად“ გაშვებული საშვები, ფინანსური გადახარჯვები“.** როგორც ირმა დოლიძე ხსნის, „ლევი“ საშვით გატანილი წიგნების აღრიცხვის, კონტროლისა და დაბრუნების მექანიზმი არ არსებობდა, რადგან პიროვნებას, მონაცემთა ბაზაში ფიზიკურად ვერ მოძებნიდი. ირმა დოლიძემ აღმოჩენილი დარღვევები დეპარტამენტის მაშინდელ უფროსს, ზურაბ ჭიაბერაშვილს გააცნო, თუმცა ლევან ბერძენიშვილს არავინ მოუხსნია. როგორც ირმა დოლიძე ამტკიცებს, მან პროტესტი გამოთქვა, ასეთი დარღვევებით მომუშავე ხალხთან ერთად განყოფილებაში არ შევალო, ბერძენიშვილმა კი დამნაშავეებს ხელი დააფარა, რადგან მაშინ უკვე პარლამენტარობისთვის ემზადებოდა და ხალხის გადაკიდება არ სურდა. ირმა დოლიძე განყოფილებაში არ შევიდა, სამაგიეროდ, 2 წლის მერე კონტროლის პალატა შევიდა ბიბლიოთეკაში და მძიმე დარღვევები აღმოაჩინა. ის ქალბატონი, ვინც ირმა დოლიძე რეგისტრატურის განყოფილების უფროსის პოსტზე შეცვალა, მოხსნეს და მოგვიანებით, თვითმკვლელობაც კი სცადა: **„კონტროლის პალატის შუალედური დასკვნის მიხედვით საქმეს მსვლელობა რომ მისცემოდა, მთელი დირექცია იყო დასაჭერი, მაგალითად, მაკულატურის სიებში უნიკალური წიგნები იყო შეტანილი. თუმცა ეს ამბავი ჩაიფარცხა. 1998 წელს რომ მოვიდა, ამის მერე რამე გამოასწორა ბერძენიშვილმა? თუ ის ამ დარღვევებს არ მალავდა და დამნაშავეებს არ მფარველობდა, რატომ არ მოაწესრიგა ეს ყველაფერი? ამ დარღვევებსა და შემდეგ, მათ არგახმაურებას თავად ბერძენიშვილი უწყობდა ხელს. როცა პარლამენტში შევიდა, პარლამენტს ბიბლიოთეკის დირექტორის პოსტზე ლევან თაქთაქიშვილის კანდიდატურა შესთავაზა. ეს კაცი საცავში დაცვის თანამშრომელმა დააკავა ძვირადღირებული გრავიურით ხელში, ქურდობის ფაქტზე“.** უცნობია, რა ბედი ეწია კონტროლის საბოლოო პალატის დასკვნას, შუალედური დასკვნის გამო კი ბერძენიშვილი არ დასჯილა... ცოტა ხნის შემდეგ, ფინანსთა სამინისტროდან ხარჯების შემცირების ბრძანება მოვიდა და რეორგანიზაცია დაიწყო, რის შედეგადაც, მთელი განყოფილებები გაუქმდა, მათ შორის, ირმა დოლიძისაც. როგორც ქალბატონი გვიამბობს, განყოფილების უფროსის პოსტიდან, ის უეცრად, უშტატო თანამშრომელთა რიგებში აღმოჩნდა, თუმცა ბერძენიშვილმა ხელშეკრულება გააყალბა, ხელი თავად მოაწერა და მეორე დღეს მივლინებაში წავიდა. ირმა დოლიძე ამტკიცებდა, რომ არავითარ დოკუმენტზე ხელი მოწერილი არ ჰქონია და სასამართლოში ჩივილს აპირებდა. კონფლიქტი ბერძენიშვილის დათმობით დასრულდა — ირმა დოლიძე ბიბლიოთეკაში 3-წლიანი კონტრაქტით დარჩა. ამასობაში, შემცირებაში მოყოლილმა რამდენიმე თანამშრომელმა სასამართლო პროცესი მოიგო და ბერძენიშვილმა 17 მათგანი სამსახურში დააბრუნა. ცოტა ხანში, ბერძენიშვილი პარლამენტში შევიდა და ბიბლიოთეკაში ქალთა კოლონიის ექსუფროსი, ბორის გაგუა მოვიდა. წერილში, რომელიც პარლამენტს გადაეგზავნა, ირმა დოლიძე და სხვა თანამშრომლები სწორედ გაგუას დარღვევების შესახებ წერენ. როგორც ყოფილი თანამშრომლები ამტკიცებენ, მაშინ ოპოზიციაში მყოფი ლევან ბერძენიშვილი მაინც ახერხებდა გაგუას მფარველობას, რადგან მასთან მეგობრობდა. თუმცა ბიბლიოთეკაში პროკურატურა შევიდა, გაგუა „უეცრად“, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადადგა და ხელისუფლებამ ახალი კადრის ძიება დაიწყო. ირმა დოლიძემ და სხვა ყოფილმა თანამშრომლებმა ძველი კითხვებით ახალ დირექტორს, გიორგი კეკელიძესაც მიმართეს: **„წიგნადი ფონდის საკითხზე დავა 2009 წელს დავიწყეთ, როცა ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ვნახე ინფორმაცია, რომ თურმე, ბიბლიოთეკაში 4 მილიონი წიგნიც არ არის. დავიწყე მტკიცებულებების მოგროვება, ვიპოვე მოწმეები და აღმოჩნდა, რომ 70-იან წლებში, საერთო ფონდი იყო 11 მილიონი, 80-იან წლებში — 13 მილიონზე მეტი, მოგვიანებით — 17 მილიონი და ვებგვერდზე ამბობენ, სულ 4 მილიონი წიგნი გვაქვსო. მოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია და გვიპასუხეს, არ ვიცით, რამდენი და რა წიგნია დაკარგულიო. როგორც ვიცით, 70-იანი წლების მერე ბიბლიოთეკაში აღწერა არ ჩატარებულა. საინტერესოა, აღწერის გარეშე თუნდაც ეს რიცხვი, 4 მლნ როგორ მიიღეს, დაესიზმრათ?! როცა ბიბლიოთეკაში კეკელიძე დაინიშნა, წარდგენისას, დავით უსუფაშვილს ლევან ბერძენიშვილიც გამოჰყვა და ამაში მფარველობას ვერ ხედავთ? პირდაპირ კრებაზე განაცხადა, ესენი ჩემი მეგობრები არიან და აქ იმიტომ ვარო. 9 წელი ქვეყანა რომ იქცეოდა, ბიბლიოთეკა ყვაოდაო. არადა, კეკელიძე იქ ფუტლარად ჰყავთ, რეალურად, ბიბლიოთეკას ისევ კრიმინალი თაქთაქიშვილი და გაგუა მართავენ, კრიმინალურ დირექციასთან ერთად და მათ ისევ ბერძენიშვილი მფარველობს. თაქთაქიშვილი ახლაც დეპარტამენტის დირექტორია, მთელი ეს ფონდები და საცავები მას აბარია. ჰაერში კი 10 მლნ წიგნია დაკარგული. ეს სახელმწიფოს ღალატი არ არის? მათზე განაწყენებული ერთ-ერთი ბიბლიოთეკარი, ყოფილი „მათიანი“ კი თავად გამოტყდა ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში, რომ ამ წიგნების ნაწილი ბუკინისტებში, ნაწილი საზღვარგარეთ, ნაწილი კი საელჩოების თანამშრომლებისგან უცხოელებზე გაიყიდა. ეს სერიოზული მაფიაა“.** 2007 წელს შეტანილი სარჩელები ირმა დოლიძემ და სხვა მოდავეებმა 2012 წელსაც განაახლეს. ე.წ. ფონდების საქმეზე, კერძოდ, კულტურული მემკვიდრეობის დაკარგვის, საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი ხარჯვისა და სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების საკითხზე სარჩელი, უცვლელი დირექციის წინააღმდეგ, თაროზე დღესაც ისეც ისე დევს, როგორც ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს იდო. სარჩელშია მოხსენიებული კიდევ ერთი დიდი დანაკარგი — წიგნის პალატის გაუქმების შედეგად, გაუჩინარებული წიგნები. წიგნის პალატა 2006 წელს სააკაშვილის ბრძანებით გაუქმდა და მისი ყველა ერთეული, წიგნები, რუკები და სხვა უნიკალური მასალები ბორის გაგუას დროს, ზუსტად 2 საათში ჩაიბარა საჯარო ბიბლიოთეკამ. მთელი შენობა, თავის ფონდებიანად, დაუთვლელად, 2 საათში მიიწერეს, იმ დროისთვის კი წიგნის პალატის ბალანსზე 2-მილიონიანი ფონდი იყო. 2 მილიონის ნაცვლად, ირმა დოლიძისთვის მიცემულ საჯარო ინფორმაციაში 202 205 ერთეულზეა საუბარი. სულ ეს გამოვიდა წიგნის პალატის ფონდი და 1 800 000 წიგნია გამქრალი. მოდავეები ახალ დირექტორს, კეკელიძესაც ესაუბრნენ და უთხრეს, ბიბლიოთეკაში აუდიტის სამსახურის შესვლა მოეთხოვა სიმართლის დასადგენად, თუმცა ამბობენ, ასეთი პასუხი მივიღეთ — ჩემს დროს არაფერი ხდებოდა და ჩემამდე რაც ხდებოდა, არ მაინტერესებსო. სწორედ ამ თემაზე ჩვენთან გაუქმებული წიგნის პალატის ყოფილმა თანამშრომელმა, **ქეთევან დევიძემ** ისაუბრა: **„გარდა იმისა, რომ არ ვიცით, წიგნადი ფონდი ფიზიკურად სად არის, ფონდის შენობაც მოსპეს და გაანადგურეს. იქ ამ უნიკალური წიგნების შენახვის პირობები გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ბიბლიოთეკაში. ჩვენი დათვლით, 1 800 000 წიგნი არსად ფიქსირდება.“** „ვერსიამ“ კომენტარისთვის რესპუბლიკელ დეპუტატს, **ლევან ბერძენიშვილს** მიმართა, რომელიც ბრალდებებს ასე პასუხობს: **„ეს არასერიოზული ბრალდებებია. ბიბლიოთეკაში არის მილიონი დასახელების 3 641 456 ერთეული წიგნი და როგორ შეიძლებოდა, 10 მილიონი წიგნი დაკარგულიყო? ამდენი წიგნი ერთად კონგრესის ბიბლიოთეკაშიც არ არის, ჩვენს ბიბლიოთეკაში კი არც არასდროს ყოფილა. ან საინტერესოა, რა გამოძიებას უნდა შევუშალო ხელი? ბიბლიოთეკაში წიგნები მიმქონდა და იქეთ ვჩუქნიდი, არც ერთი წიგნი არ მომიპარავს და ამაზე სერიოზულად საუბარს არ ვაპირებ! ოპოზიციაში რომ ვიყავი, ამდენი წელი, რამე რომ მქონოდა მოპარული, მიხეილ სააკაშვილი ამას შემარჩენდა და ციხეში არ ჩამსვამდა?! 1998-დან 2004 წლამდე ბიბლიოთეკის დირექტორი ვიყავი და რა წიგნები უნდა მომეპარა, რომ 2012 წლამდე ვერ გამოეძიებინათ და ვერ დავეჭირე? 120 ლარი მქონდა ხელფასი და გადავყევი მაგ ბიბლიოთეკას, რომ რაღაცად მექცია. ირმა დოლიძე კი ბიბლიოთეკიდან გავათავისუფლე და ესაა სულ!“**

შვიდი წელი 200 ათასი ლარის გათეთრებისთვის

პატიმარი №0578

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ყველა ცდილობს, თავი ჭკვიანად წარმოაჩინოს. ვიყოთ გულახდილები, პატიმრებს შორის ინტელექტის პრობლემა დგას, რადგან ძირითადი მასა სკოლადამთავრებულიც არ არის და შესაბამისად, თუ ვინმეს ინსტიტუტი აქვს დამთავრებული და რამდენიმე წიგნი წაკითხული, უკვე თამამად შეუძლია ისაუბროს ბევრ რამეზე. საინტერესოა, რომ პატიმრების უდიდესი ნაწილი განათლებას სწორედ ციხეში იღებს, რადგან უსაქმურობისგან დაღლილი იძულებულია, წიგნი წაიკითხოს. ერთ წიგნს მეორე მოჰყვება, მეორეს მესამე და... მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც წიგნის დანახვა არ უნდათ და მხოლოდ „ქურდული კარაბადინით“ კმაყოფილდებიან...

გლდანის ციხეში პატიმრების ერთადერთი გასართობი რადიო იყო, თუმცა როცა სიცილის ან ხმამაღლა საუბრის გამო რადიოს წაიღებდნენ, კამერა „კვდებოდა“. ციხის ბიბლიოთეკა, რბილად რომ ვთქვათ, არ იყო სასურველი. აქ ყველაზე კარგი წიგნი „დათა თუთაშხია“ იყო, თუმცა ბევრი პატიმარი ამბობდა, ფილმი მაქვს ნანახი, წიგნი რად მინდაო... თუ საკანში ერთი, ან ორი ადგილი იყო თავისუფალი, მაშინ პარასკევს ელოდებოდა ყველა. პარასკევს კარანტინს შლიდნენ და ამიტომ ახალ პატიმარს ელოდნენ. ახალი ახალ ამბებს მოჰყვებოდა, იტყოდა, გარეთ რა ხდებოდა. სწორედ ამიტომ, პარასკევს ელოდნენ იმ საკნის პატიმრები, რომელშიც სასჯელს პატიმარი №0578-იც იხდიდა. ორიოდე დღის წინ მათი საკნიდან ეტაპში ორი პატიმარი წაიყვანეს და ერთ კაცს მაინც შემოგვიყვანენო, იმედი ჰქონდათ ბიჭებს.

პარასკევს საღამოს, კარანტინის დაშლის შემდეგ, ნაცემი პატიმრების გადანაწილება დაიწყეს. ორი პატიმარი იმათაც ერგოთ, ვინც სიხარულით ელოდა. ორივე ნაცემი იყო, განსაკუთრებით ახალგაზრდა ბიჭს უჭირდა. როგორც გაირკვა, მანქანის სარკეების ქურდობაზე იყო დაკავებული, ერთ-ერთი ოფიცრისთვის კი სწორედ წინა დღეს მოუპარავთ სარკეები და შენნაირი იქნებოდა ისიცო, ამ მიზეზით უცემია. სუნთქვა ისე უჭირდა, ყოველ ჩასუნთქვა-ამოსუნთქვაზე ლურჯდებოდა. პატიმარი №0578 საკნის კართან მივიდა და გასძახა: „ბატონო ოფიცერო, ექიმი გვინდა“.

ოფიცერმა „კარმუშკა“ გადმოსწია, თავი შემოყო და იღრიალა: „ექიმი არა, ჩემი სირი არ გინდათ?!“

„ახლა ამოიყვანეს კარანტინიდან ბიჭი, სუნთქვა უჭირს, შეიძლება ნეკნები აქვს ჩამტვრეული. სპაზმით რომ მოკვდეს, ექსპერტი დაადგენს, რომ ნეკნები აქვს ჩალეწილი და თქვენთვის შარია. ამიტომ ვითხოვთ ექიმს და თუ გინდათ, ნუ მოიყვანთ“, — ჩუმად უთხრა №0578-მა.

ოფიცერი გაბრუნდა და ხუთ წუთში კამერაში ორი ექიმი და ციხის რეჟიმის სამი წარმომადგენელი შემოვიდა. ახლადმოყვანილი ყურადღებით გასინჯეს და დაბეჯითებით თქვეს, ნეკნები გატეხილი არ არის, შეიძლება გაბზარული იყოს, ორი კვირა ტკივილები ექნება, მერე გაუვლისო.

„ორი კვირა კი არა, სანამ აქ იქნება, სულ ტკივილები ექნება ამ სირს, დაიკიდეთ რა“, — თქვა კორპუსის ოფიცერმა და კამერიდან გავიდა.

„არ იქცევით სწორად. გარეთ კი მესმოდა, უმიზეზოდ სცემენ პატიმრებსო და ახლა ვხვდები, რომ უმიზეზოდ არავინ არავის სცემს. იქაც, კარანტინის დაშლაზე არავინ უცემიათ უმიზეზოდ. ლოგიკას ვერ ხედავთ, ლოგიკურად ვერ უსაბუთებთ, თორემ არ გცემდნენ. ყველაფერშია ლოგიკა“, — ყველასთვის მოულოდნელად ხმა ახლადმოყვანილმა პატიმარმა ამოიღო. ამ დროს დანარჩენები ნაცემ პატიმარს დასტრიალებდნენ, მეორე საერთოდ არ ახსოვდათ და ამიტომ, უცხო ხმის გაგონება გაუკვირდათ.

„რაა?!“ — ჩუმად ჰკითხა №0578-მა.

„რა და ლოგიკა არ გაქვთ არცერთს. აი, კარანტინის დაშლაზეც ეკითხებოდნენ, რაზე დაგიჭირესო და მერე სცემდნენ. ამათ უნდა ეთქვათ, რა მიზეზით მოიპარეს, რა მიზეზით იყაჩაღეს, რომ სხვაგვარად არ შეეძლოთ, რომ ფული არ ჰქონდათ... ესენი კიდევ ამბობდნენ, ვიქურდეო და ჩუმდებოდნენ“, — აჭიკჭიკდა ახლადმოყვანილი, რომელსაც ილო ერქვა და ფიზიკურად დაბალი და მსუქანი გახლდათ.

„შენ არ გცემეს?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„არა, რატომ უნდა ვეცემე? ავუხსენი, რომ დანაშაული არ ჩამიდენია, რომ ძიება მიდის და თუ სასამართლო გამამტყუნებს, მერე მცემონ, მაგრამ ზუსტად ვიცი, არ გამამტყუნებს და გარეთ გავალ. ლოგიკურად ვიმსჯელე და გამიგეს“, — ამაყად თქვა ილომ.

„და რაზე ზიხარ?“ — არ მოეშვა №0578.

„საბუთებში შეგეშალა რაღაცო. მთელი ცხოვრება საბუთებთან მაქვს საქმე და როგორ შემეშლებოდა?! არ არის მაგაში ლოგიკა“, — თქვა ილომ და ნარზე გაიშოტა.

„ხომ არ ფიქრობ, რომ მაგ ნარზე სხვა წევს?!“ — №0578-ს ხმაში სიბრაზე დაეტყო.

„ლოგიკურად უნდა იწვეს, მაგრამ რასაც ვუყურებ, ყველაზე ასაკიანი ვარ და ასევე ლოგიკურად, არჩევანი მე მეკუთვნის“, — ილო ნარზე უფრო კომფორტულად მოეწყო. ამ დროს მეორე პატიმარმა №0578-ს მუხლზე ხელი შეახო და რაღაც ჩაიჩურჩულა. №0578-მა ყური პირთან მიუტანა.

„ვიღაც პარლამენტარები ახსენა, იმიტომ არ სცემეს. მაგარი გაქნილი ვინმეა, ოფიცრებიც მოფერებით ესაუბრებოდნენ, მფარველი ჰყავს“, — ჩუმად თქვა ახალგაზრდამ.

„მომისმინე, ბიძა — მაგ ნარზე მე ვწევარ. ლოგიკურად, ახლა თუ არ ადგები, ფეხში მოგკიდებ ხელს და ჩამოგაგდებ და კიდევ უფრო ლოგიკურად, ისეთს წაგითაქებ, კეფაზე შერჩენილი თმაც გაგცვივდეს და ახლა შენ აირჩიე, ლოგიკურად ადგები თუ ალოგიკურად აგაყენო“, — მშვიდად უთხრა №0578-მა და ილო ნარიდან ბუზღუნით წამოდგა, მერე ოთახში დადგა და იკითხა: „სად დავწვე?!“

პატიმრებმა ცარიელ ნარზე ანიშნეს და ილოც უკმაყოფილოდ წამოწვა, ცოტა ხნის შემდეგ კი №0578-ს მიუბრუნდა და...

„ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, შენ კამერის მაყურებელი ხარ“, — გაუღიმა №0578-ს.

„და ლოგიკურად, შენ შიგ ხომ არა გაქვს?!“ — აფეთქდა №0578 და ნათქვამი იმდენად ხმამაღლა გამოუვიდა, ოფიცერმა „კარმუშკა“ გამოაღო.

„რა ხდება აქ?!“

ილო მაშინვე წამოდგა და „კარმუშკასთან“ მიირბინა, ოფიცერს რაღაც უჩურჩულა და ოფიცერმა კარი გააღო.

„რომელმა თქვით, კამერის მაყურებელი ვარო?!“ — იღრიალა ოფიცერმა.

„არცერთმა. ამ შტერმა დაასკვნა ასე, ლოგიკურად“, — მშვიდად უპასუხა №0578-მა.

„აბა, რა იქნებოდა, ნარზე დავწექი და ადექიო, ეს ცუდად არის და ექიმს ამან დაუძახა, იმ პატიმარს უთხრა, წყალი მოუტანე ნაცემსო და იმანაც მოარბენინა. მაყურებელია, აბა, ვინ არის?!“ — ახსნა ილომ.

ოფიცერმა ილოს გაკვირვებით შეხედა, მერე გვარი ჰკითხა, გარეთ გავიდა, შემოვიდა და №0578-ს მიუბრუნდა.

„შეეშვი ამ კაცს. სადაც უნდა, იქ დაწვეს და რაც უნდა ის აკეთოს. მაყურებლობაზე კი სიტყვაც აღარ დაგცდეს შენ“, — ახლა ილოს გახედა ოფიცერმა.

ისიც მხიარულად წავიდა №0578-ის ნარისკენ და წამოკოტრიალდა. როგორც კი ოფიცერი კამერიდან გავიდა, №0578 თავის ნართან მივიდა და ილოს ჩუმად უთხრა: „ხვალ დილით ყელგამოჭრილს გაგასვენებენ აქედან“.

ილო ღრიალით წამოხტა და კარზე ბრახუნი ატეხა. ოფიცერი ისევ შემოვიდა.

„ამას დანა აქვს, უფროსო. დანა ხომ არ შეიძლება, წაართვით“, — მიაყარა ოფიცერს.

ოფიცერმა გაოცებისგან პირი დააღო, №0578 ხმას არ იღებდა.

„ასე მითხრა, ყელს გამოგჭრიო და ლოგიკურად, დანა აქვს“, — არ გაჩერდა ილო. ოფიცერი ისევ გავიდა ოთახიდან, მერე ისევ შემობრუნდა და ილოს უთხრა, შენს ნარზე დაბრუნდი და დაიძინეო.

მეორე დილით პატიმრები ილოს ხმამ გააღვიძა.

„საჭმლის სუნია, ლოგიკურად, ბალანდა მოაქვთ, ადექით, ხელი დაიბანეთ“, — ყვიროდა ილო და ამას იმდენად ხმაურით აკეთებდა, ოფიცერმა ისევ შემოიხედა.

„რა ხდება აქ?!“ — იყვირა ბოლო ხმაზე.

„ბალანდა მოაქვთ და ბიჭებს ვაღვიძებ“, — გაუღიმა ილომ.

„მომისმინე, გუგულო. შენი ხმა აღარ გავიგო, თორემ შემოვალ და ლოგიკურად მაგრად გცემ“, — იღრიალა ოფიცერმა. ილომ კამერაში სამ დღეზე მეტი ვერ გაძლო. „ლოგიკურად“ გააბრაზა ერთ-ერთი პატიმარი, ლოგიკურადვე გაილახა და ლოგიკურადვე კარცერში წაიყვანეს ორივე.

* * *

რუსთავის №17 ზონაზე მისულმა №0578-მა ეზოში ილო შენიშნა. მივიდა, მიესალმა და აქ რა გინდაო, ჰკითხა.

„არ ჰქონია ქართულ სასამართლოს ლოგიკა. შვიდი წელი მომცეს მაგ უნამუსოებმა არაფერში“, — წაიკნავლა ილომ და მერე გაირკვა, რომ „არაფერი“ ორასი ათასი ლარის გათეთრება იყო.

ვერსიანიუსი

შს მინისტრის ბრძანებით, საზღვარზე კონტროლი გამკაცრდა

2015 წლის 13 ნოემბერს პარიზში მომხდარი ტერორისტული აქტების შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრის — გიორგი მღებრიშვილის დავალებით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ყველა გამშვებ პუნქტში სავიზო კონტროლი გამკაცრდა.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ახდენენ მგზავრებთან დეტალურ გასაუბრებას და მათი ვიზიტის ნამდვილი მოტივაციის გამოვლენას. განსაკუთრებული ყურადღებით მოწმდება ქვეყანაში შემომსვლელთა სამგზავრო დოკუმენტები, კონტროლდება სატრანზიტო მგზავრთა ნაკადი, რათა მაღალი რისკების მქონე ქვეყნების მოქალაქეები, საქართველოს გავლით, სხვა ქვეყნებში არალეგალურად არ მოხვდნენ. ზემოხსენებული პროცედურები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ტარდება.

2015 წლის 14 ნოემბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით, სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის გავლით, საქართველოში შემოსვლაზე უარი უცხო ქვეყნის 479 მოქალაქეს ეთქვა.

შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის დაცვისა და სასაზღვრო კონტროლის გამკაცრების მიზნით, გაძლიერდა სასაზღვრო პოლიციის პირადი შემადგენლობა და მოხდა დამატებითი ძალების მობილიზება.

სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა 2015 წლის 14-დან 24 ნოემბრის ჩათვლით, საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის უკანონოდ კვეთის ბრალდებით, საქართველოს 1 და უცხო ქვეყნის 31 მოქალაქე დააკავეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობას, რომ დაიცვას ქვეყნის მოსახლეობის უსაფრთხოება.

შსს-მ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე 17 პირი დააკავა

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, პირველი სამმართველოს (ბათუმი) №1 სასაზღვრო სექტორის (სარფი) დასაცავ მონაკვეთზე, სომალის რესპუბლიკის 15, საქართველოს 1 და თურქეთის რესპუბლიკის 1 მოქალაქე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის მცდელობისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები, სატვირთო ავტომანქანაში არსებული სპეციალური სამალავის მეშვეობით, სომალის რესპუბლიკის მოქალაქეების თურქეთში უკანონოდ გადაყვანას ცდილობდნენ. გამოძიება საქართველოს სსკ-ს 19-344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 19-344 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ახალი პროექტი „გზა წარმატებისკენ“ დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმებისა და განვითარების სააგენტომ დაიწყო პროექტი „გზა წარმატებისაკენ“, რომლის ფარგლებშიც, სხვადასხვა სფეროში დასაქმებული წარმატებული ადამიანები ლექციებს ჩაატარებენ და შსს-ს აკადემიის სტუდენტებსა და მსმენელებს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ. ახალი ინიციატივა მიზნად ისახავს შსს-ს მომავალ თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

პროექტის ფარგლებში, პირველი ლექცია შსს-ს აკადემიის მაგისტრანტებისა და მსმენელებისთვის შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ივანე პაპიაშვილმა ჩაატარა. ლექციაზე მან ისაუბრა პოლიციაში კარიერულ და პროფესიულ განვითარებაზე, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის მუშაობის სპეციფიკაზე. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის მუშაობის უკეთ გაცნობის მიზნით, ივანე პაპიაშვილმა დამსწრეებს შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმი წარუდგინა, რომელიც ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების მიერ ერთ-ერთ წარმატებით გახსნილ, რთულ საქმეზეა გადაღებული.

ლექციის შემდეგ შსს-ს აკადემიის მაგისტრანტებმა და მსმენელებმა ივანე პაპიაშვილს მათთვის საინტერესო კითხვები დაუსვეს და მისაგან რეკომენდაციები მიიღეს.

„ვერსიანიუსი“

ყველაფერი ცნობილი ჯალათის „ჯიჰადი ჯონის“ ცხოვრებისა და გარდაცვალების შესახებ

ისლამისტებმა ფრანგებზე შური ბრიტანელი მუჰამედ ემვაზის გამო იძიეს?

ერუსუდან ხავთასი

პარიზის ტერაქტების შემდეგ გავრცელდა მოსაზრება, რომ ისლამისტებმა ფრანგებზე იერიში, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტერორისტის, ბრიტანელი მუჰამედ ემვაზის, იგივე „ჯიჰადი ჯონის“ მკვლელობის გამო მიიტანეს. მიზანი კი, არც მეტი, არც ნაკლები, შურისძიება იყო. საინტერესოა, ვინ იყო სინამდვილეში „ჯიჰადი ჯონი“, როგორ ცხოვრობდა და როგორ გარდაიცვალა.

„სანამ შენი რაკეტები გააგრძელებენ ჩვენი ადამიანების ბომბვას, ჩვენი დანა გააგრძელებს თქვენი ადამიანების დახოცვას“, — ამბობდა ემვაზი ერთ-ერთ ვიდეორგოლში, რომლის ადრესატიც ბარაკ ობამა იყო. ამ ვიდეოს გავრცელების შემდეგ ემვაზიმ მორიგ მსხვერპლს ყელი გამოჭრა. ვიდეოჩანანერები მთელ მსოფლიოში გავრცელდა და ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ სავიზოტო ბარათად იქცა. შავ სამოსში გამოწყობილი ადამიანი კი, რომელიც შურისძიებასა და ძალადობაზე ინგლისურად, ბრიტანული აქცენტით ლაპარაკობდა, ჯიჰადიზმის გლობალურ სიმბოლოდ იქცა და ბევრი ისეთი ახალბედა რადიკალის ყურადღებაც მიიქცია, რომლებიც მზად არიან, თავს დაესხნენ ნებისმიერ ქვეყანას.

„ჯიჰადი ჯონის“ ინდეტიფიცირება და განადგურება დასავლური სპეცსამსახურების ღირსების საქმედ იქცა. საქმეში ჩაერთო „მი 5“, FBI და „სკოტლანდ-იარდი“. „დეილი ტელეგრაფისა“ და „ნეიშენალ პოსტის“ ინფორმაციით, ვიდეოს საშუალებით მათ შეეძლოთ დაედგინათ დამნაშავის სიმაღლე, ნახატი ხელზე, ხმა და აქცენტი. სპეციალისტები აკვირდებოდნენ მის დანას, რათა გაერკვიათ, სად შეიძლებოდა შეეძინა ის; ტოპოგრაფები კი ხედზე დაკვირვებით არკვევდნენ, სად შეიძლებოდა ყოფილიყო ვიდეო გადაღებული.

თავიდან პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ჯიჰადი ჯონი“ იყო ადელ აბდელ-მაჯიჯ აბდელ ბარი — ცნობილი ჯიჰადისტის ადელ აბდელ ბარის შვილი. დიდი ხნის განმავლობაში ისიც ლონდონში ცხოვრობდა და გაიქცა სირიაში, რათა ISIS-ის რიგებში შესულიყო და მათთან ერთად ებრძოლა. სოციალური ქსელების მოყვარულებისთვის ის ცნობილი იყო, როგორც რეპერი „პოეტი-მომღერალი ჯინი“.

საბოლოოდ, 26 თებერვალს „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოააშკარავა ამ ჯალათის ნამდვილი სახელი. მუჰამედ ემვაზი დაიბადა 1988 წლის 17 აგვისტოს, ქუვეითის ქალაქ ელ-ჯახრაში. 1993 წელს, მომავალი ტერორისტის ოჯახი ჩავიდა დიდ ბრიტანეთში, სადაც სამი წლის განმავლობაში ელოდებოდა დევნილის სტატუსს. ისინი სახელმწიფოს შემწეობით ცხოვრობდნენ, თუმცა მამამისი ტაქსის მძღოლად მუშაობდა. ბრიტანეთის ბიუჯეტმა ჯამში მის ოჯახზე დაახლოებით 400 ათასი ფუნტი დახარჯა.

1995 წელს მუჰამედი სახლთან ახლოს მდებარე სკოლაში წავიდა. თვითმხილველების თქმით, ის მშვიდი ბავშვი იყო. სახლში არაბულად ლაპარაკობდნენ და ხშირად სტუმრობდნენ მეჩეთს, თუმცა ზოგადად, ოჯახი ბრიტანული ცხოვრების წესს მისდევდა. მოჰამედი ერთადერთი მუსლიმი იყო კლასში. დღემდე შენახულია ანკეტა, რომელიც მან ათი წლის ასაკში შეავსო. მომავალი „ჯიჰადი ჯონი“ წერდა, რომ მისი საყვარელი ფერი ლურჯია, საყვარელი ცხოველი მაიმუნი, საყვარელი მულტფილმი „სიმპსონები“, საყვარელი საჭმელი კი „ჩიპსი“. ოცი წლის შემდეგ მას თავი ფეხბურთელად წარმოედგინა.

„ის თამაშობდა ფეხბურთს ყოველ ლანჩის დროს. თამაშის საშუალებით სწავლობდა ახალ სიტყვებსა და გამოთქმებს. ისევე, როგორც ყველა ბავშვს, მასაც თავდამსხმელობა უნდოდა. არ გამოირჩეოდა სანიმუშო სწავლით, თუმცა ძალიან სპორტული ბავშვი იყო, თან საკმაოდ პოპულარულიც“, – ამბობს მისი კლასელი. მეორე მეგობარი კი ასეთ ეპიზოდს იხსენებს: **„ერთხელ თამაშის დროს, იგი თავით კარის ბოძს შეეჯახა. ჩვენ მომდევნო ერთი კვირა არ გვინახავს. თავის სერიოზული ტრავმის შემდეგ სკოლაში სხვანაირი დაბრუნდა“.**

უფრო მაღალ კლასებში მუჰამედი ცდილობდა, ყოფილიყო სანიმუშო მოსწავლე, თუმცა ისლამი მასზე უფრო და უფრო დიდ გავლენას ახდენდა. მან დაიწყო უფრო ტრადიციული ტანსაცმლის ჩაცმა, მისმა დებმა კი ხიჯაბის ტარება. მისი ქცევა საბოლოოდ შეიცვალა ვესტმნისიტერის უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ, სხვადასხვა მეჩეთის სტუმრობა დაიწყო და „ალ-ქაიდას“ წევრის, ბილალა ალ-ბირჯავის გავლენის ქვეშ მოექცა. მიუხედავად ამისა, კურსელების ინფორმაციით, ესწრებოდა ბევრ წვეულებას, სვამდა, ეწეოდა მარიხუანას და ხშირად ჩხუბობდა.

ემვაზის ხედავდნენ რადიკალი ისლამისტების აქციებზე ლონდონში. ითვლება, რომ სწორედ ალ-ბირჯავი უნერგავდა ახალგაზრდას რადიკალიზმსა და ძალადობის სურვილს. 2006-დან 2009 წლამდე ალ-ბირჯავს ბრიტანეთის სახელმწიფომ ხუთჯერ გადმოაკვეთინა საზღვარი, რადგან არ იცოდა მისი ნამდვილი მიზნები. ის უპილოტო თვითმფრინავში დაიღუპა 2012 წელს.

უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი ამბობს, რომ სასწავლო დაწესებულებაში ყველა საშუალება იყო რადიკალებისთვის: **„ერთხელ მუსლიმური წრის შეკრებაზე შევედი, სადაც ისინი აღფრთოვანებით უკრავდნენ ტაშს 11 სექტემბერს მომხდარ ამბებს“.** მისი თქმით, რადიკალები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა სტუდენტები გადმოებირებინათ.

უნივერსიტეტის დამთავრებისა და პროგრამისტის სპეციალობის მიღების შემდეგ, ემვაზი ტანზანიაში გაემგზავრა, იქიდან კი მეგობრებთან ერთად ცდილობდა სომალიში შესვლას. ის არ შეუშვეს ქვეყანაში და ჩასვეს თვითმფრინავში, რომელიც ჰოლანდიამდე მიიყვანდა. ტერორიზმში უსამართლოდ დადანაშაულებული ადამიანების დამცველი ორგანიზაცია „კეიჯის“ წერილებში, მუჰამედი წერდა, რომ დაკითხა ბრიტანულმა კონტრდაზვერვამ და დაადანაშაულა ტერორისტული ჯგუფ „აშ-შაბაბში“ გაწევრიანების მცდელობაში.

მისი თქმით, ლონდონში დაბრუნების შემდეგ გაიგო, რომ პოლიცია მივიდა მისი და მისი საცოლის ოჯახში, რის შემდეგაც შეშინებულმა გოგონამ დაგეგმილ ქორწილზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ, მუჰამედმა გადაწყვიტა ქუვეითში გადასულიყო, რათა არც ერთი მთავრობის თვალთვალის საგანი აღარ ყოფილიყო. ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა ლონდონში მშობლების მოსანახულებლად. მომავალი ჯიჰადისტის ვერსიით, ჰიტროუს აეროპორტში კონტრდაზვერვის ოფიცერმა დაკითხა მგზავრობის მიზნის შესახებ და მასზე იძალადა. ქუვეითში აღარ გაუშვეს. „თავი პატიმარი მეგონა“, — ამბობს ემვაზი. მისი მეგობრების თქმით, უკვე ამ დროს, ემოციებით ლაპარაკობდა სირიაზე და ძალიან უნდოდა, შეერთებოდა ბაშარ ასადის მოწინააღმდეგეთა რიგებს.

მშობლების რჩევით, შეიცვალა სახელი და კიდევ ერთხელ შეეცადა ქუვეითში შესვლას, თუმცა ამ შემთხვევაშიც უარი უთხრეს. რამდენიმე დღის შემდეგ გაიქცა მშობლების სახლიდან და სირიაში გადავიდა.

ორი ბრიტანელი ექიმი, რომლებიც ელაპარაკნენ ემვაზს სირიაში, ამბობს, რომ თავიდან უნდოდა შეერთებოდა ორგანიზაცია „ჯაბხატ ან-ნუსრას“ რიგებს. თუმცა საბოლოოდ, ISIS-ის რიგებში მოხვდა და საკმაოდ სწრაფად გაიკეთა „კარიერა“. ასევე სამ ბრიტანელთან ერთად იცავდა ციხეს თვითმარქვია ხალიფატის რაკეს ქალაქში. სწორედ აქ მოუძებნეს მას მეტსახელი: ბრიტანული აქცენტის გამო, პატიმრებმა, თავიანთ მცველებს ბრიტანული ჯგუფის „ბითლზის“ წევრების სახელები — ჯორჯი, რინგო, პოლი და ჯონი დაარქვეს.

„ბითლზი“ ყველაზე ძვირფას პატიმრებს დარაჯობდა — დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეებსა და ტყვეებს. მცველები სისასტიკით გამოირჩეოდნენ, იყენებდნენ ელექტროშოკს, არ ერიდებოდნენ წყლით წამებასა და სიკვდილით დასჯასაც ხშირად გაითამაშებდნენ ხოლმე, ერთ-ერთი პატიმარი ყვება: **„ამიყვანა და მაიძულა, მასთან ტანგო მეცეკვა. მე თავი დახრილი მქონდა, რადგან მეგონა, მცემდნენ. ის დამატარებდა მთელ ციხეში, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და იატაკზე დამაგდო. მცემეს, შემდეგ კი დამემუქრა, რომ მკვნეტელათი მომჭრიდა ცხვირს“.**

მას შემდეგ, რაც ემვაზის ვინაობა დადგინდა, არც ერთ ვიდეორგოლში აღარ გამოჩენილა. „ჯიჰადი ჯონის“ რეიტინგი დაეცა: ის უკვე აღარ იყო გლობალური და ყოვლისშემძლე ჯიჰადიზმის სახე, ახლა მას ჰქონდა სახელი, გვარი და ცხოვრების ისტორია. მისი სიკვდილი არ იმოქმედებს ISIS-ის საბრძოლო ძალაზე, თუმცა „ჯიჰადი ჯონის“ დიდი პოპულარობის გამო, მისი სიკვდილით აშკარად ჩრდილი მიადგა ამ ორგანიზაციის სახელს.

გამოფენა დამთვალიერებლის გარეშე

რატომ ვერ ყიდიან ნახატებს მხატვრები და რა უჯდებათ თითო ნამუშევრის შესრულება

ნათია დაუშვილი
599-85-09-43

მშრალ ხიდთან, მხატვართა ბაღში, ნებისმიერი ასაკისა თუ გემოვნების ადამიანი აარჩევს სასურველ ნახატს, მაგრამ მყიდველთა სიუხვით ეს ადგილი ვერ დაიკვეხნის. ჩემდა გასაკვირად, აქ მხატვრების გარდა არავინ დამხვედრია. მხოლოდ ორი ირანელი ფერმწერი ათვალიერებდა გამოფენილ ნახატებს. უცხოელები, როგორც გავარკვიე, აქ შედარებით ხშირად დადიან. რამდენიმე მხატვარს გამოველაპარაკე, თუმცა ვინაობის გამხელა არ ისურვეს. მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე საუბრობენ, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ფულის შოვნაზე მნიშვნელოვანი, მათთვის ხელოვნებაა. მხატვარი მალხაზ ნოზაძე გამომელაპარაკა. სახელი და გვარიც მითხრა და ისიც, რომ დასამალი არაფერი აქვს. მისი ნახატები მრავალფეროვნებით გამორჩევა — თბილისი ხედები, სვანეთი, პეიზაჟები... დავინტერესდი, პორტრეტები თუ შეუქმნია. აღნიშნა, რომ იმპრესიონისტია და შეკვეთებს არ იღებს. ბატონი მალხაზის ნამუშევრებს, ერთადერთი მამაკაცი ათვალიერებდა, თუმცა არაფერი უყიდია.

— ბატონო მალხაზ, ერთი ნახატის შესრულება რა ჯდება?

— 100, შეიძლება 150 ლარიც. მასალას ფული უნდა, გონებას — შრომა. ამას ყურადღებას არავინ აქცევს. ეს ჩემი ნაშრომებია. აი, აიღეთ ეს „ბურუსი“, მოვიდეს ნებისმიერი და შემისრულოს აბა, ეს ნახატი, ასე...

— ნახატები კარგად იყიდება?

— არა. რაც უნდა დავხატო, როგორ კარგადაც უნდა შევასრულო, მყიდველი არავინაა. ტურისტები ვეღარ შემოდიან და ნაკლები გვეყიდება. შეიძლება, დღე ისე გავიდეს, საერთოდ ვერაფერი გავყიდოთ. აი, აგერ, „თევზები“, სპეციალურად შევქმენი. ფოტოდან გადმოვიტანე ეს კომპოზიცია და რამდენიმე თევზისგან გავაკეთე, მაგრამ კაციშვილს არ აინტერესებს, არავინ აქცევს ყურადღებას.

— ყველაზე პოპულარული რა ტიპის ნახატებია?

— ყველაფერი კაპიკებში უნდათ. ბევრს ვერ შევეჯიბრები, ბევრი ვერ შემეჯიბრება. ყველას თავისი ხედვა აქვს. მე ზეთში ვხატავ, თბილისის ხედებიც მაქვს, სვანეთიც, მაგრამ ყველაზე მეტად აბსტრაქცია და მსგავსი სტილის ნახატები იყიდება. ერთმა ამერიკელმა, ჩემი ნახატები რომ ნახა, ისე მოეწონა, გადამეხვია.

— ყველაზე ძვირად რომელი ნახატი გაგიყიდიათ?

— 190 ლარად გავყიდე, მაგრამ ის ნახატი ბევრად მეტი ღირდა. ახლა ამ ნახატებს ორას ლარზე ნაკლებს აღარ დავადებ. სახელოსნოც არ მაქვს,. ვდგავარ და აქვე ვმუშაობ. დაახლოებით წელიწადნახევარი, ან ცოტა მეტია, აქ დავდივარ. ერთი პერიოდი, ძალიან რომ გამიჭირდა, მლესავად ვმუშაობდი. ეს საქმე, თითქმის ყველა მხატვარმა იცის. აქ ყოველ დღე დავდივარ, თუ რამე სხვა საქმე არ გამომიჩნდა.

— გამოფენა არ გქონიათ?

— არა, სად არის მაგის საშუალება. კარგი იქნება ჩემი სახელის წარდგენა, მაგრამ, გამოფენა რომ მოვაწყო, თანხა მჭირდება. რითი რა გავაკეთო, ნახატი არ მეყიდება.

სანამ ბატონი მალხაზი ნახატებს მათვალიერებინებდა და პარალელურად, სვანეთის მთებს ბურუსში ხვევდა, ბაღში კიდევ ერთი პოტენციური კლიენტი შემოვიდა. პირდაპირ ჩვენსკენ გამოემართა, მაგრამ... ჩვენი საუბრით უფრო დაინტერესდა და ყიდვით, მასაც არაფერი უყიდია. „აქ უფასო გამოფენაა, დამთვალიერებლების გარეშე“, — გავიფიქრე უნებურად. ბატონი მალხაზი კი, კიდევ დიდხანს მიყვებოდა იმაზე, რომ ხალხს გაუჭირდა, თავს უფლებას ვეღარ აძლევს, ნახატები შეიძინოს, ქვეყნის ხსნა კი ისაა, ყველამ თავის საქმე აკეთოს — „მეპურემ პური გამოაცხოს, ყველამ თავის საქმე აკეთოს და მხოლოდ ასე გვეშველება რამე“.

1. თბილისის ერთ-ერთი უბანი
2. ლიხტენშტეინის დედაქალაქი
3. ყინულის მთა ოკეანეში
4. ქართული ხალხური ცეკვა
5. მდინარე და დაბა ქობულეთის რაიონში
6. ლენინის ნამდვილი გვარი
7. ჰომეროსის ერთ-ერთი პოემა
8. ტყუპად წიხლის კვრა
9. ხელოვნურად გაშენებული ტყე
10. ყნოსვის ორგანო
11. „ჰამლეტის" პერსონაჟი
12. ქალაქი იაპონიაში
13. მეხიკოს საფეხბურთო სტადიონი
14. სოფ. სიღნაღის რ-ში
15. პარიზის აეროპორტი
16. ქართველთა „უბანი" ათენში
17. სახალხო პოეტი-მომღერალი შუაზიაში
18. ესპანელი მომღერალი მამა-შვილის გვარი
19. სოიას ხაჭო იაპონიაში
20. მექანიკური მუშაობის ერთეული
21. საჭმლის მომნელებელი სისტემის ორგანო
22. რომის ცნობილი შადრევანი
23. ისტორიული ციხე აჭარაში
24. მიმართვა ფრანგი მამაკაცისადმი
25. ინგლისელი კინომსახიობი
26. სამხრეთ-დასავლეთის ძლიერი ქარი გურიაში
27. რქებდახრილი ხარი
28. ჭადრაკის „წინაპარი"
29. -ს ვარსკვლავი შაკილ ...
30. სახლს მიშენებული ღია მოაჯირიანი ნაწილი
31. ფოსო მკლავის ტანთან მიერთების ადგილას
32. ცისფერი ნილოსის სახელწოდება ეთიოპიაში
33. მეფის მეჯვარე ქორწილში
34. იაპონური ავტომარკა
35. ქათმის ჯიში
36. ქართული ანბ. მე-17 ასო
37. საქონლის შესაფუთი მასალა
38. ხაჭაპურის სახეობა
39. ყინული-ინგლისურად
40. ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
41. მოქმედი ვულკანი ინდონეზიაში
42. ქვეყნის წარსული
43. სოფელი ქედის რაიონში
44. მტაცებელი ფრინველი
45. ინდოელი კინოვარსკვლავი აიშვარია ...
46. ქრისტიანობისთვის წამებული არაბი ჭაბუკი
47. უხუცესი ქისტი „სტუმარ-მასპინძელში"
48. ჯგუფური ქორწინების გადმონაშთი
49. სტივენ სპილბერგის ერთნება
50. იგივეა, რაც ფირნიში
51. ავრორას ბერძენი „კოლეგა"
52. პოლიციელის მეტსახელი ინგლისში
53. მცენარის მიერ გამოყოფილი ტკბილი წვენი
54. ბედუინების ტრადიციული მოსასხამი
55. ალგებრული ორწევრი
56. კაბო-ვერდეს დედაქალაქი
57. ხის ან ბუჩქის გამონაზარდი
58. ლენინის ქვრივი ... ონო
59. ლაქა გუგაზე
60. ქუსლიანი დიდი ჯამი
61. სპორტული ნაწარმის ფირმა
62. დირიჟაბლების იტ. მშენებელი, არქტ. მკვლევარი
63. საბერძნეთის ადმინ. ტერიტორიული ერთეული
64. ორგანული წარმოშობის ქვა
65. მადრიდის ხელოვნების მუზეუმი
66. გემების სარემონტო ნაგებობა
67. ზგერის გრაფიკული ნიშანი
68. ფუტკრის სახლი
69. დავით აღმაშენებლის სიმამრის სახელი
70. შეძ. კონცერტზე ნომრის გამეორების მოთხოვნით
71. მარადონას ერთ-ერთი სახელი
72. ახლად მოჭრილი წკეპლა
73. გეომეტრიული სხეული
74. ცხენოსნის წკეპლა
75. საუდის არაბეთის დედაქალაქი ...-რიადი
76. ინტერნეტ-ტელეფონი
77. დაბალი ბუსუსები ქსოვილზე
78. მუსიკალური გამის VII ნოტი
79. სანელებელი მცენარე, იგივე კარდამონი
80. პატარა ფლეიტა
81. მეცნიერება, რომელშიც ნობელის პრემია არ გაიცემა
82. შვიდის მომდევნო რიცხვი
83. კათოლიკური ეკლესიის მეთაური
84. თვალის ფერადი გარსი
85. ცხიმოვანი სიმსივნე
86. ერთ-ერთი მეუღლის მშობელი მეორე მეუღლის მშობლების მიმართ
87. ცხენის კუდის ბეწვი

გენმოდიფიცირებული საკვები დაუშვეს

საკვები პროდუქტის ხარისხის მაკონტროლებელმა ამერიკულმა სამმართველომ, პირველად ისტორიაში, დაუშვა გენეტიკურად მოდიფიცირებული ცხოველების საკვებად გამოყენება. ვარგის საკვებად, გამოკვლევების შემდეგ, აღიარეს ორაგული ქუდვანტაგე. მას კანადის წყალსაცავებში გამოიყვანენ. აშშ-ს ხელისუფალთა განცხადებით, ბიოლოგიური ან საკვები თვისებებით ეს თევზი ბუნებრივი სახეობისგან არაფრით განსხვავდება, მხოლოდ ორ-სამჯერ სწრაფად იმატებს წონაში, თანაც, ჩვეულებრივზე 25%-ით ნაკლები საკვები ესაჭიროებათ. კვლევებმა დაადასტურა, რომ დნმ-ის ფრაგმენტი, რომელსაც ორაგულს გადაუნერგავენ, მას ზიანს არ მიაყენებს. გმო-თევზებს არც ბუნებრივ პოპულაციასთან შეჯვარების საშიშროება ემუქრებათ, ისინი თავად ვერ გამრვლდებიან, რადგან სტერილურები იქნებიან. მკვლევართა განცხადებით, ასეთი ტექნოლოგიები, შესაძლოა, კარგი გამოსავალი აღმოჩნდეს გლობალური სასურსათო პრობლემის მოგვარებაში. თუმცა, ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას ნეგატიური გამოხმაურებაც მოჰყვა. კრიტიკოსების აზრით, ჩატარებული კვლევები საკმარისი არ არის იმისთვის, რომ პროდუქტის საბოლოო უსაფრთხოება დამტკიცდეს.

სუდოკუ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9			4	3	2	1		
		7			6	5		
3			8					
2					4			6
	9	5				4	2	
6			2					3
					8			5
		9	6			2		
		8	7	4	3			9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		8			3			1
		4						5
2	3			9				4
			4				9	
	6		2	1	7		4	
	1				6			
1				7			5	9
9						4		
7			8			6		

ᲠᲗᲣᲚᲘ

8							1	
		4		9	8			
6		9	2			5		
					6			7
		8		5		1		
5			9					
		5			1	6		2
			3	6		7		
	7							5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4	9							
		6		4	7		3	
5	2			6				
	1		6			9		
7				9				4
		5			3		6	
				8			4	5
	7		5	2		6		
							2	8

ინსულინის ინექციას აბები ჭექლის

აშშ-ში შექმნეს პირველი აბი მსოფლიოში, რომელიც ინსულინის ინექციას შეცვლის. ამ სიახლის ავტორები სანტა-ბარბარას უნივერსიტეტის სწავლულები არიან. დიაბეტით დაავადებული ზოგი ადამიანი იძულებულია, ინსულინი ხან დღეში შვიდჯერაც კი გაიკეთოს, რაც ხშირად პრობლემაა. ამით გამოწვეული ფსიქოლოგიური დისკომფორტი იწვევს წამლის მიღების რეჟიმის დარღვევას, გართულებებს და ჰოსპიტალიზაციას, — აცხადებენ მკვლვარები. ამიტომ ძალიან აქტუალურია უფრო მარტივი მეთოდის მოფიქრება, დიაბეტიანების ორგანიზმი ინსულინით რომ შეივსოს. მთავარი პრობლემა, რისი გადალახვაც შეძლეს ამერიკელმა სპეციალისტებმა, ის იყო, რომ პერორალური მიღებისას ინსულინი სწრაფად იშლება კუჭსა და ნაწლავებში. სწავლულებმა ისეთი აბები შექმნეს, რომელსაც შეუძლია ორგანიზმს მიაწოდოს ეს საჭირო ნივთიერება პერორალური გზით, ყოველგვარი დანაკარგის გარეშე. მაკონტროლებელი ორგანოების ნებართვა ახალ აბებს ჯერ არ მიუღია — მკვლვარები ვარაუდობენ, რომ ეს პრობლემაც მოიხსნება ცხოვლებსა და ადამიანებზე კლინიკური ცდების წარმატებით დასრულების შემდეგ.

ყველაზე სექსუალური მამაკაცი დაასახელეს

პოპულარულმა ჟურნალმა People თანამდეროვე მსოფლიოში ყველაზე სექსუალური მამაკაცი გამოავლინა. ეს ტიტული ინგლისის საფეხბურთო ნაკრების ყოფილ კაპიტანს, დევიდ ბექჰემს ერგო. ამერიკულმა გამოცემამ სპორტსმენის ფოტო ახალი ნომრის პირველ გვერდზე გამოაქვეყნა. საკუთარი არჩევანის კომენტირებისას რედაქციამ ტიტულის მფლობელს „მსოფლიო სუპერვარსკვლავი, ერთგული ქმარი და ოთხი შვილის პრაქტიკული მამა“ უწოდა. ეს უდიდესი პატივია და ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის, — ამბობს 40 წლის ბექჰემი, რომელიც არ თვლის თავს ამ წოდების ღირსად. არასოდეს მიგრძნია თავი მომხიბვლელად ან სექსუალურად, თუმცა, ნამდვილად მიყვარს კარგი და კომფორტული ტანსაცმლის ტარება, — აღნიშნავს ფეხბურთელი. გასულ წელს ჟურნალმა ყველაზე სექსუალური მამაკაცის წოდება მსახიობ კრის ჰემსვორტს არგუნა.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	1	5	2	3	7	8	4	9
8	7	4	1	5	9	2	6	3
9	2	3	6	8	4	7	1	5
4	8	2	5	9	3	1	7	6
1	9	6	7	4	2	5	3	8
5	3	7	8	6	1	9	2	4
3	6	1	9	7	8	4	5	2
2	5	9	4	1	6	3	8	7
7	4	8	3	2	5	6	9	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

9	6	2	5	4	7	3	1	8
1	8	7	2	6	3	5	9	4
5	4	3	8	1	9	2	7	6
3	5	6	1	9	4	7	8	2
8	2	1	7	5	6	4	3	9
4	7	9	3	2	8	6	5	1
2	1	8	6	3	5	9	4	7
7	3	4	9	8	2	1	6	5
6	9	5	4	7	1	8	2	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	2	3	7	5	4	1	9	8
1	9	8	6	3	2	5	7	4
7	4	5	1	9	8	6	3	2
2	8	9	4	6	7	3	5	1
5	1	4	3	2	9	7	8	6
3	7	6	8	1	5	4	2	9
9	6	2	5	4	3	8	1	7
8	5	1	2	7	6	9	4	3
4	3	7	9	8	1	2	6	5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

2	5	8	1	9	7	4	3	6
4	3	1	2	8	6	5	9	7
9	7	6	5	4	3	2	1	8
3	1	5	9	7	2	8	6	4
8	6	9	4	5	1	7	2	3
7	4	2	3	6	8	1	5	9
1	2	4	7	3	9	6	8	5
6	9	7	8	1	5	3	4	2
5	8	3	6	2	4	9	7	1

მე-9 გვერდი: 1. ევროპა; 2. ვიზავი; 3. ოვაცია; 4. არმაზი; 5. რეპატრიაცია; 6. აზუა; 7. აზდაკი; 8. რცხილა; 9. თვე; 10. ოპიუმი; 11. ავგია; 12. სლაიდი; 13. ატა; 14. ღილი; 15. ივრითი; 16. ირიდა; 17. რვალი; 18. ლუდი; 19. ურია; 20. აივა; 21. ვაცი; 22. ვილია; 23. მადრიდი; 24. აპდაიკი; 25. გეგი; 26. ჰიგია; 27. ლიმპოპო; 28. გოლდი ჰოუნი; 29. გოგია; 30. დიაცი; 31. ლაგამი; 32. დია; 33. ირავადი; 34. რაფა; 35. დეკადა; 36. თხემი; 37. იაკი; 38. კიარა; 39. ფუგუ; 40. რიო; 41. მესა; 42. ითაკა; 43. კურო; 44. უფა; 45. მესა; 46. რეზიუმე; 47. ერაყი; 48. მედიე; 50. ჰერა; 51. ვეროკიო; 52. ომერტა; 53. სოლ; 54. სეგიდილია; 55. კოფთა; 56. იდა; 57. ისანი; 58. ლუიზა; 59. ფიალა; 60. რუნი; 61. მუდამ; 62. ნამჯა; 63. ეიფელი; 64. ემუ; 65. ვირუსი; 66. არია; 67. ჯვარი; 68. გალიფე; 69. ასა; 70. ამინ; 71. ამება; 72. ხურმა; 73. ეფემერა; 74. ფარაჯა; 75. რაჯა; 76. ხვალ; 77. მარტინ; 78. პრომილე; 79. აგუნა; 80. დანაე; 81. ქააბა; 82. მელ 83. დოჰა; 84. ბამბა; 85. ტაბუ; 86. აილამა; 87. აპია.

მე-10 გვერდი: 1. ალიკაპი; 2. ლუკულუსი; 3. კინეტიკა; 4. პიკი; 5. სოკრატე; 6. ოპტიკა; 7. „რაპიდი“; 8. ტირე; 9. აკინაკი; 10. აბასთუმანი; 11. ორინოკო; 12. რკო; 13. სტოპერი; 14. იკაროსი; 15. ოტიტი; 16. აგორა; 17. კარიბუ; 18. გოტიკა; 19. პლატო; 20. აკიდო; 21. ინსი; 22. ალიდადა; 23. ტალინი; 24. ილიკო; 25. ოდენსე; 26. იტი; 27. ასაკი; 28. ალფა; 29. ტაუერი; 30. ლაიკა; 31. სარმა; 32. ნოემბერი; 33. იმაგო; 34. ისანი; 35. ონონი; 36. „ულისე“; 37. ლოდი; 38. როტორი; 39. სკაუტი; 40. კამბისე; 41. ედო; 42. ზღვა; 43. ამაო; 44. ოიამა; 45. ელდა; 46. მზე; 47. ბრა; 48. ფარდა; 49. მეცო; 50. კინდღი; 51. მე; 52. კუ; 53. ოლიფა; 54. ფა; 55. მინდაო; 56. ცია; 57. ტროა; 58. დამანა; 59. ოლე; 60. ზვარი; 61. იაფი; 62. ია; 63. კამეა.

სოსისს სინთეტური ხორცისგან დაამზადებენ

ნიდერლანდების მაასტრიხტის უნივერსიტეტის მეცნიერთა განცხადებით, მომავალი წლიდან საკვებად სრულიად ვარგისი სინთეტიკური ხორცის სოსისის წარმოება დაიწყება. სწავლულების ამ ჯგუფმა ლაბორატორიულ პირობებში ხელოვნურად გამოიყვანა „კუნთები“. მათი თქმით, ხელოვნური ხორცის წარმოება იმდენად მნიშვნელოვანია, როგორც ოდესღაც სამონადირეო ცხოვრების წესის მეცხოველეობით შეცვლა იყო. სინთეტიკური ხორცის მიღების ტექნოლოგია კი ასეთია: ღორის ღეროვან უჯრედებს იღებენ და მას ცხენის ემბრიონის სისხლის შრატით „კვებავენ“. ამ ხერხით სწავლულებმა შეძლეს კუნთების ფირფიტების გამოყვანა, რომელიც ნამდვილ ხორცს დაამსგავსეს. მკვლევარები ახლა ძროხის ღეროვან უჯრედებზე აპირებენ მუშაობას და იმედი აქვთ, რომ „საქონლის ხორცს“ ჰამბურგრებისთვის შექმნიან. შვედი მეცნიერები აცხადებენ, რომ ადამიანებს შეუძლიათ თავისუფლად მიირთვან ამ „იშვიათი ცხოველის“ პროდუქტი. სწავლულები ცდილობენ, „ხორცი“ უსაფრთხო იყოს, ამიტომ უჯრედების უსაფრთხო მკვებავის გამომუშავებას ლურჯ-მწვანე წყალმცენარების საფუძველზე აპირებენ.



ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, მარიკა ლომიძე.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ – ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

125
დაცვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

www.125.ge

საინფორმაციო მხარდაჭერა

მედიაპოლდინგი „ჯორჯიან თაიმსი“ და „გორბი“ წარმოგიდგენთ მე-16 ტრადიციულ ბიზნესრეიტინგის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალს!

26 ნოემბერს 20:00 სთ-ზე „ფუნიკულიორის კომპლექსის წვეულებათა დარბაზში“ III სართულზე მედიაჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსისა“ და საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების კომპანია „გორბის“ **XVI ტრადიციულ ბიზნესრეიტინგში გამარჯვებული კომპანია/ბიზნესმენთა დაჯილდოების ცერემონიალი და საზეიმო ვახშამი გაიმართება.**

სპონსორები:

პლატინის სპონსორი კომპანია „ბლექსიგრუპი“;
ოქროს სპონსორი „სოკარ ენერჯი ჯორჯია“;
გენერალური სპონსორები: კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“
და სუპერმარკეტების ქსელი „სმარტი“.

მხარდამჭერები:

თბილისის მერია;
ეკონომიკის სამინისტრო;
ფინანსთა სამინისტრო;
ენერგეტიკის სამინისტრო;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
რეგიონული განვითარებისა ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
საპარტნიორო ფონდი;
საერთაშორისო სავაჭრო პალატა;
საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა.

მედიაპარტნიორები:

საზოგადოებრივი მაუწყებელი;
ტელეკომპანია „იმედი“;
ტელეკომპანია „დრო“;
ტელეკომპანია TV3;
ტელეკომპანია TV8;
საფერავი TV;
TV პირველი;
ტელეკომპანია „ობიექტივი“;
ტელეკომპანია „მიუზიკბოქსი“;
რადიო „ფორტუნა“;
„ავტორადიო“;
ონლაინგაზეთი www.geotimes.ge;
ბიზნესპორტალი www.award.com.ge;
ვიდეოპორტალი www.baidu.ge;
www.georgianpress.ge;
პორტალი „კვირა“;
www.epn.ge;
www.for.ge;
www.newsday.ge;
ინგლისურენოვანი გაზეთი Georgian Times;
ინგლისურენოვანი გაზეთი Georgia Today;
Caucasian Business Week;
გაზეთი „სვობოდნაია გრუზია“;
გაზეთი „პრაიმტაიმი“;
გაზეთი „ვერსია“;
გაზეთი „ქართული სიტყვა“;
ჟურნალი „თბილისელები“;
ჟურნალი „რეიტინგი“.

პირველი ბიზნესრეიტინგი 1995 წელს გაიმართა, **პროექტის მიზანია:** ეროვნულ ბიზნესში ყველაზე წარმატებული დარგების განსაზღვრა, დიალოგის მხარდაჭერა ბიზნესს, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, ქართული ბიზნესის ახალი იმიჯის ჩამოყალიბება, ახალი პერსპექტიული კომპანიების წარმოჩენა, საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენების ურთიერთ დაახლოება და რაც მთავარია, ქართული ბიზნესის მიმართ საერთაშორისო ბიზნესსაზოგადოების ყურადღების მიპყრობაა, ქართული ბიზნესის წარმოჩენასა და პოპულარიზაციაში კი ბიზნესრეიტინგის წვლილს არა მხოლოდ საქმიანი, არამედ პოლიტიკური სამყაროც აღიარებს.

1995 წლიდან დღემდე ბიზნესრეიტინგში გამარჯვებულ კომპანიები და ბიზნესმენები არიან:

TBC ჯგუფი — მამუკა ხაზარაძე;
„კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ — თემურ ჭყონია;
„ყაზბეგი“ — გოგი თოფაძე;
„ყაზბეგი კასტელი“ — გოგი თოფაძე;
GWS — ლევან გაჩეჩილაძე;
შპს „სამგორი 94“ — ავთო წერეთელი;
შპს „თბილავიამშენი“ — პანტიკო თორდია;
TBC ბანკი — ვახტანგ ბუცხრიკიძე;
„გაერთიანებული ქართული ბანკი“ — ვანო ჩხარტიშვილი;
შპს „სამგორი 94“ — ავთო წერეთელი;
„ჯეოსელი“ — ოსმან თურანი;
„ჯეოსელი“ — ოსმან თურანი;
„ჯეოსელი“ — ოსმან თურანი და საქართველოს ბანკი — ირაკლი გილაური;
„სოკარი“ — მაირ მამედოვი;
საქართველოს ბანკი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა Georgian Times-ს და „გორბის“ მიაწოდა იმ კომპანიების სია, რომელთაც საქართველოს ბიუჯეტში 1 000 000 000 ლარი და მეტი შეაქვთ. ექსპერტებმა, ეკონომიკური პროფილის ჟურნალისტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების, ფონდების, მრეწველთა და გადამხდელთა კავშირების წარმომადგენლებმა, სოციოლოგიური კვლევების სამსახურებმა გამოავლინეს საუკეთესო და წარმატებული კომპანიების ტოპ-60, რომელთა შორის გამოვლინდა 30 საუკეთესო კომპანია, რომელიც თავის რიგებს შორის გალა საღამოზე ერთ გამარჯვებულს ანუ ლიდერს ლიდერთა შორის გამოავლენს, რჩეულს რჩეულთა შორის კი ერთი წლით გარდამავალი გრან-პრი გადაეცემა, ბიზნესის ეროვნული ჯილდო-ხელნაკეთი და ექსკლუზიური კომპოზიცია „ბოლნური ჯვარი“, დამზადებული ძვირფასი ლითონებისგან: ოქროსა (31,5 გრ) და ვერცხლისგან (12 გრამი), ბუნებრივი ქვებისგან-ბრილიანტი (1 ცალი), ლურჯი საფირონი (1 ცალი), ფირუზი (4 ცალი), ცირკონი (2 ცალი), მწვანე ძოწი (2 ცალი). დანარჩენი კომპანიები კი სხვადასხვა ნომინაციებით და ტოპ-30 საუკეთესო კომპანიის დამადასტურებელი დიპლომებით დაჯილდოვდებიან.

პროფესიონალმა ჟიურიმ, რომელიც საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი და პატივსაცემი პიროვნებებით არის დაკომპლექტებული, საუკეთესო კომპანიები შემდეგი კრიტერიუმებით შეაფასა: მეწარმეთა ინტერესების დაცვა; საზოგადოებრივი იმიჯი; ეფექტური მენეჯმენტი; ქველმოქმედება/მეცენატობა; სარეკლამო კამპანიის ეფექტურობა; ახალი ტექნოლოგიები; ახალი სამუშაო ადგილები; საქმიანობის სტაბილურობა; კომპანიის ზრდა-წარმატება; აღიარება საზღვარგარეთ; საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR); ეფექტური მარკეტინგი; ფინანსური გამჭვირვალეობა; გუნდის პროფესიონალიზმის დონე; პოტენციური საინვესტიციო მიმზიდველობა.

ტრადიციულ XVI ბიზნესრეიტინგის საზეიმო გალა ღონისძიებას საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების წევრები, სასულიერო პირები, ბიზნესმენები, არასამთავრობო ორგანიზაციების, ინტელიგენციის, საქართველოში აკრედიტებული მისიების და ფონდების წარმომადგენლები, ადგილობრივი და უცხოური მასმედია დაესწრება.